პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 30 ივლისი, პარასკევი
№ 22 (2199)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეჩაიეთა გამარჯვება: შესრულდა X ხუთწლედი!

სურათზე: გალის რაიონის აჩიგვარის მეურნეობა-ტექნიკუმის მოწინავე მეჩაიე მზია რაზმაძე.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნაზი კილასონია

სულ გამარჯვებით იარე

გშვენის ზურმუხტის ქამარი,
იქნები!
ხარ და იყავ!
ნუ მკითხავ — ასე რად არი,
მაისში ყოვლი მიყვარს.
მაისში თავითი მიგია
სათიესები ცხელი,
მღერის და მღერის იგივეს
ბულბულის მწველი ყელი..
მაისის ფერად ბორცვებზე
თავისით უსტვენს ლელი,
ლურჯდება, როგორც ოცნება
ბალახდაყრილი ველი.
მაისში ხვალის თავთუხებს
გამონასკვიათ გული,
ობოლ მარგალიტს ადუღებს
მწყემსის უბრალოდ თქმული.
ჩამოდის ნაკადულებად
წვიმა-ჟუჟუნს ბროლი,
შემოგვყუჟვიან მდგმურები:
შამვი,
კაკაბი,
გნოლი.
სულ მშვიდობაში იარე,
კვალი გიძღოდეს ნათლის,
იყავ მზიანი,
სვიანი,
ააყვავილე ქართლი!
ეს აქეთ... ლიხის გადაღმა
ვისი მანდილი დაფრენს.
მარადის, განა ხანდახან
ვინ გვიხავერდებს აფრებს.
ვის უძევს მწვანე ხალიჩად
ამოსაქსოვი ნოხი.
ვინ იშრომ,
ვინ იხარისხა,
ვინ გვისახელა კოლხი.
იქ გვიჩანს ვარსკვლავთ
ვარაყით
ბევრი დაი და ძმაი,
იქ პირველ ითქვა ამაყად:
—„ჩვენი ქართული ჩაი!“
მაგრამ ვინ იცის უმეტეს,
თუ არა, ისევ თქვენა:
ამაღლებულად, ნეტარად
რარიგ ძნელია ფრენა!
დაო, მოიხსენ თავშალი,
დღეს საქართველო გკოცნის.
გაშალე, უფრო გაშალე —
ხელზე რომ გიჩანს კორძი.
დარეკოს ზარმა,
მეტალმა,
ვინ გვითხრას თუ არ შენა:
ამაღლებულად,
ნეტარად
არ იოლია ფრენა!
სათეს-საბარი,
სასხლავი,
მზე, ქარი,
კრეფა, წვიმა...
და განთიადის ვარსკვლავიც
შელამებიდან ბრწყინავს.
თუ ვინმეს ჰშვენის მშვენება, —
შენ გშვენის კაცთა ნებით:
ეგ ჩაღალული ხელები
აზიდო, როგორც ფრთები!
იყავ მზიანი, სვიანი,
თავამართული გზნებით,
სულ გამარჯვებით იარე
შენი აღმართი გზებით!



მიხეილ შოლოხოვი — მწერალი და მოქალაქე

გრიგოლ აბაშიძე

მიხეილ შოლოხოვს დაბადების 75 წლისთავი შეუსრულდა. დიდი საბჭოთა მწერლის დაბადების ეს თარიღი მთელს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება, მისი იუბილე მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის დიდი დღესასწაულია.

შოლოხოვი არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის ავტორიტეტია, იგი, სრულიად დამსახურებულად, დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მწერლადაცაა აღიარებული.

მან შექმნა რუსეთის რევოლუციის ეპოპეა და ქვეყნის გარდამქმნელი ჭარტეხილების სიდიადე აჩვენა დონის კაზაკების ბრძოლისა და ცხოვრების მომხიბვლელ ფონზე. ეს ეპოპეა თავისი მასშტაბით უტოლდება მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს შედევრებს და ჩვენ უყვე მივეჩვიეთ მის ხსენებას ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ გვერდით.

უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების ღრმა გაგებით, ფართო თვალთახედვით, მდიდარი წარმოსახვითა და მხატვრული დამკვირვებლობით შოლოხოვის რომანები და მოთხრობები რუსული ლიტერატურის ახალ ეტაპს ქმნიან და ახალი ფერებითა და სახეებით ამდიდრებენ მსოფლიო ლიტერატურას. მის მიერ დახატული გმირები, სისხლითა და ხორცით სავსე, მარად ცოცხალი ადამიანებია, ისინი აღბეჭდილნი არიან მკვეთრი ინდივიდუალობით და ამავე დროს წარმოადგენენ ხალხის — ისტორიის მთავარ შემოქმედ ძალას. სწორედ ხალხის ტკივილისა და სიხარულის ჩვენებით, ხალხის ფიქრისა და სწრაფვის გადმოცემით აღწევს შოლოხოვი იმ უზარმაზარ მასშტაბებს, რომლითაც მისი ფართო ტილოები მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ეპოპეებს უნათესავდება.

შოლოხოვის, როგორც მხატვრის უპირველესი ნიშანი არის სიმართლე, მას უყვარს ადამიანი და სჯერა მისი. სწორედ ამ ნიშნებით უახლოვდება იგი რუსული ლიტერატურის კორიფეებს და ახალ ხარისხში აგრძელებს იმ ჰუმანიზმს, რომელმაც მე-19 საუკუნის დიდ რუსულ მწერლობას მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი რუსული კულტურის გავლენით ქართული კულტურის ახალი აღორძინება იყო, მე-19 საუკუნის დიდი რუსული მწერლობის ტრადიციებზე აღიზარდა და დავაუკაცდა ახალი ქართული მწერლობა. პუშკინით დაწყებული და გორკით დამთავრებული, რუსული კლასიკური ლიტერატურა იყო ის სკოლა, რომელიც რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის ლიტერატურაზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა, ზრდდა მათ ეპოქის მოწინავე იდეებით და უმაღლესი მხატვრული მიღწევების გამოცდილებით შეიარაღებულებს გზას უკაფავდა ახალი მწვერვალებისაკენ.

ჩვენს დროში შოლოხოვი არის ის დიდი რუსი მწერალი, რომელიც ახალ პირობებში აგრძელებს თავისი წინაპრების ტრადიციას.

მისი შემოქმედება არის ის დაუშრეტელი წყარო, რომელსაც მწყურვალივით ეწაფებიან საბჭოთა ლიტერატურის ახალი და ახალი თაობები. მისი გავლენა განსაზღვრელად დიდია საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა განვითარებაზე; მისი როლი ამ ლიტერატურათა წარმატებებში ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს და ეს კვლევა, ალბათ, ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან მომენტს წარმოაჩენს.

დიდი მწერალი-ჰუმანისტი არ შეიძლება ინტერნაციონალიზტიც არ იყოს და ჩვენ შოლოხოვს ვიცნობთ ხალხთა მეგობრობის მშენებლად და მომღერლადაც.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა დიდი მწერლის მეგობრობა საქართველოსთან.

უკანასკნელ წლებში შოლოხოვი დაინტერესდა ჩვენი ხალხის შრომით და მშიდრო მეგობრული ურთიერთობა გაჯა ქართველ მეჩაიეებთან და არაერთხელ გამოთქვა აღტაცება მათი მძიმე, მაგრამ სასახელო შრომის გამო.

ქართველმა მეგობრებმა მწერლისადმი უსაზღვრო სიყვარული იმით გამოხატეს, რომ იგი ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საპატიო წევრად აირჩიეს.

ჩვენ შოლოხოვთან ერთად დავიარეთ საქართველო და ბედნიერნი ვიყავით, როცა მასთან ერთად ვრგვდით ციტრუსების ნერგებს გურიის გორაებზე გაშენებულ მეგობრობის პარკში.

შოლოხოვი ინტერესით ადევნებს თვალს საქართველოს ცხოვრებას. მას ახარებს ჩვენი ხალხის ყოველი ახალი გამარჯვება.

დიდი მწერლობა და დიდი ადამიანობა ერთმანეთისაგან არ განიყოფებიან და ამაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს შოლოხოვთან ერთად გატარებული ყოველი წუთი.

ამ საზეიმო დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს მწერლის დაბადების 75 წლისთავს, მინდა ჩვენი ხალხის დიდ მეგობარს მივულოცო უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და „ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს medali.

მიხეილ შოლოხოვი და გრიგოლ აბაშიძე მახარაძეში.

„ლიტერატურათა მეგობრობა — ხალხთა მეგობრობა“

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ლიტერატურული გაზეთების რედაქციათა შეხვედრა აზერბაიჯანში

23 მაისს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყაზახის რაიონში ერთმანეთს შეხვდნენ სამი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ლიტერატურული გაზეთების რედაქციები. შეხვედრა მოეწყო აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის ორგანოს — „ედებიათ ვე ინჯესენეთის“ (ლიტერატურა და ხელოვნება) რედაქციის ინიციატივით.

ეს შეხვედრა ყაზახის რაიონში საგანგებოდ გაიმართა. ყაზახი მასაზღვრავა საქართველოსი, საქართველოსგან ხრამზე გადებული ცნობილი „წითელი ხიდი“ მყოფს, რომელიც მეგობრობის ხიდადაა აღიარებული და რომლის შემოგარენშიც ხშირად ხვდებიან ერთმანეთს სამი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები.

ყაზახი მდიდარი რაიონია, სავსე — ბალ-ვენახებით. აქაურებს შარშან უხვი მოსავლით უსახელებიათ თავი და წელსაც გარჯას არ იშურებენ. მაგრამ ყველაზე უფრო ყაზახის მკვიდრთ თავიანთი რაიონის პოეტური ტრადიციები ესახელებათ. აქ დაიბადა აზერბაიჯანის დიდი შვილი — სამედ ვურღუნი, აქ იზრდებოდნენ აზერბაიჯანის ცნობილი პოეტები და პროზაიკოსები. აქ დღესაც უყვართ ლექსი, პოეტური სიტყვა და მწერლებს მუდამ გულთბილად ხვდებიან.

სამედ ვურღუნის „პოეზიის სახლი“ — აქ ეწყობა ლიტერატურული გაზეთების წარმომადგენელთა დიალოგი „მრგვალ მაგიდასთან“. დიალოგის თემაა „ლიტერატურათა მეგობრობა — ხალხთა მეგობრობა“...

შეხვედრას ხსნის პარტიის აზერბაიჯანის ყაზახის რაიკომის პირველი მდივანი აძრამ ყულიევი.

— დღევანდელი დღე ჩვენი რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია. სამი მოძმე რესპუბლიკის მწერალთა გაზეთების რედაქციებმა თავიანთი შეხვედრისა და საქმიანი საუბრის ადგილად ყაზახის რაიონი აირჩიეს, რაიონი მეგობრობისა და ძმობის, საამშობლო ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტებისა. სახლი, სადაც ამუამად ვიმყოფებით, სწორედ პოეტის სახლია. ეს-ესაა მღელვარედ ვისმენდით დიდი აზერბაიჯანელი პოეტის, ჩვენი რაიონის მკვიდრის — სამედ ვურღუნის ხმას — ფირზე ჩაწერილს. ის გვიკითხავდა ლექსებს და ამ ლექსებიდან, პირველ ყოვლისა, სწორედ ხალხთა ძმობის, ურთიერთგაგების, კაცთმოყვარეობის მოტივები გვესმოდა. აქ, ამ პოეზიის სახლში ჩვენ მოგვიყვანა ძმობამ და ურთიერთგაგების სურვილმა. ჩვენ მოგვიხდება საუბარი უმეტესად ლიტერატურულ ურთიერთობაზე, რომელიც თავის მხრივ მყარ საფუძველს უყრის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას. მე მინდა ლიტერატურული გაზეთების რედაქციებმა ერთმანეთს გულწრფელად, საქმიანად გაუზიარონ გამოცდილება, დასახონ გზები მომავალი შემოქმედებითი ურთიერთობისა.

ყაზახის რაიონი ერთ-ერთი მოწინავეა მთელს აზერბაიჯანში. შარშან ცუდად არ გვიშუშავია და მოსავალიც მაღალი მოვიწიეთ, წელსაც ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ შარშანდელ მაჩვენებლებს, შარშან ხომ ჩვენ საიუბილეო მოსავალს ვიწევდით, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის დევიზით ვშრომობდით... თქვენ ყველანი მხურვალე მონაწილენი იყავით ამ ზეიმისა, რადგან იგი ფართოდ გადაიცა სამივე რესპუბლიკის ტელევიზიით. ჩვენზე, იმ ზეიმის მონაწილეებზე განსაკუთრებული რაიონში ხალხი ელოდა აზერბაიჯანელ მწერალს და მეცნიერს, ასევე მონაწილეს ამ შეხვედრისა, დილარა ალიევას. ეს ორი მწერალი ქალი დაუღალავი პროპაგანდისტია ორი მოძმე ხალხების ლიტერატურებისა, როგორც საქართველოში ისე აზერბაიჯანში.

არ მინდა ნათქვამი ისე გამიგოთ, თითქოს ყველაფერი რიგზე გვქონდეს. ჩვენ გვაქვს გადასაჭრელი პრობლემებიც. დარწმუნებული ვარ ამგვარი პრობლემები გექნებათ თქვენც... მაგალითად, ვგრძნობთ, რომ ჯერ კიდევ თავი ვერ დავაღწიეთ შემთხვევით თარგმანებს, სახელდახელო, იფიშელებისა და „ღონისძიებებისათვის“ განსაზღვრულ თარგმანებს. ჩვენ, როგორც წესი, მხოლოდ ორიგინალიდან თარგმნილ ნაწარმოებებს ვაქვეყნებთ, მაგრამ ძალზე გვიძნელდება მთარგმნელთა პოვნა. იმ ერთი-ორი კაცის გარდ, რომელთა არსებობაც ჩვენ ყველას ძალზე გვამაყებს, მთარგმნელები არა გვყავს. ჩვენი ერთობლივი მუშაობა, ფიქრობ, იმ გზითაც უნდა წარიმართოს, რომ გამოვავლინოთ და აღვზარდოთ ენის მცოდნე ახალგაზრდა მთარგმნელები.

ცოტა რამ ვიცით იმ სიახლეებზეც, რაც ერთმანეთის ლიტერატურაში ხდება. ინფორმაცია ახალ ნაწარმოებებზე ნაკლებად გვაქვს, ამიტომ დაზღვეული არა ვართ შემთხვევითი თარგმანებისაგან. ზოგჯერ ითარგმნება ის, რაც შეიძლება დამახასიათებელი არც იყოს მოძმე ერის მიმდინარე ლიტერატურული პროცესისათვის, ამიტომ მე ვთხოვ მოძმე გაზეთების რედაქციებს, დროდადრო შევუდგინოთ ხოლმე ერთმანეთს სარეკომენდაციო სიები იმ ახალი ნაწარმოებებისა, რომლებიც ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოხატავენ ჩვენი ლიტერატურების დღევანდელ სახეს.

დასასრულ მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს კოლეგებს, სასიამოვნო სტუმრობისათვის და ვისურვო, რომ ამგვარი შეხვედრები ტრადიციად იქცეს.

ბრაჩია ოვანესიანი (სომხეთის გაზეთის „გრაკან თერთ“ (ლიტერატურული გაზეთი) მთავარი რედაქტორი): დღევანდელი ჩვენი საუბარი პოეზიის სახლში, სამედ ვურღუნის სახლში იმართება და თავს ორმაგად ბედნიერად ვგრძნობ, რადგან სამედ ვურღუნს პირადად ვიცნობდი, მასთან მეგობრობა მაკავშირებდა. ამ წუთებში მთელი ჩემი განცდა სწორედ მის ხსოვნასთანაა დაკავშირებული. არ შემიძლია გულგრილად ვუყურო ამ წმიდათაწმიდა სახეებს, ფოტოებიდან რომ შემოგვქცერენ, სახეებს, სამი მოძმე ხალხის დიდი ადამიანებისა, დიდი მწერლებისა. ვურღუნისთანა ადამიანები ჩვენ მუდამ გვჭირდებოდა, დღესაც გვჭირდება და მომავალშიც დაგვჭირდება. ამგვარ ადამიანთა გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა. ისინი ძალას გვმატებენ, გზას გვინათებენ, ხალხების გონებასა და აზრს დიდი საქმეებისაკენ წარმართავენ. სამედ ვურღუნში მუდამ იგრძნობოდა დიდი სულიერი ენერგია, მე ვიტყოდი, ხალხური ენერგია, და როცა ამ კაცის სახლში ლიტერატურის პრობლემებზე ვმსჯელობთ, მინდა ვისურვო, რომ ჩვენს ლიტერატურებს მუდამ მოსდგამდეთ ვურღუნისთანა პოეტების ვაჟკაცური სული, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. პატრიოტიზმში მე ვგულისხმობ სიყვარულს მშობელი ერისა და სიყვარულს მეზობლებისა, რადგან არ შეიძლება იცხოვრო სულიერ კავშირთა გარეშე, იცხოვრო ისე, რომ არ იცოდე როგორ ცხოვრობენ მეზობლები, რას აკეთებენ, რა უხარიათ, რა სწყინთ. ჩვენ ერთმანეთისთვის უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, უფრო ნაყოფიერად უნდა ვიმუშაოთ... აი, ვუქცერი ამ ორ მანდილოსანს, — ლეილა ერაძეს და დილარა ალიევას და, სიმართლე გითხრათ, გული სახარულთან ერთად შურითაც მევსება, რაკომ უფრო მეტი არ უნდა გვყავდეს ამგვარი ხალხი, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში-მეთქი. მაგრამ, სამწუხაროდ, ენების მცოდნე მთარგმნელები ცოტანი ვყავავს, ძალზე ცოტანი, მაშინ რიგი ჩვენი რედაქციების კარი მუდამ ღია ყველასათვის, ვინც ძმობისა და მეგობრობის საქმისათვის თუნდაც მცირე რამეს გააკეთებს...

ვახტანგ ჭელიძე (გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი): როცა აქეთ მოვდიოდი, ვფიქრობდი გადამფიფრცლა ჩვენი გაზეთები და კიდევ ერთხელ აღმედგინა მეხსიერებაში, რაც გავაკეთეთ. მაგრამ გადავიფიქრე. დიახ, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ აქ უფრო იმიტომ შევიკრიბეთ, რომ ვთქვათ: რაც გაკეთდა, საკმარისი არ არის, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს. მე ვეთანხმები ჩვენს კოლეგებს, იმაში, რომ მეტად უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდა მთარგმნელთა დაოსტატებისათვის, უფრო ფართოდ უნდა მივცეთ ინფორმაცია ერთმანეთს ახალ ნაწარმოებებზე, რათა გამოვრიცხოთ თარგმანის შემთხვევითობა. მომმე მკითხველმა უნდა იცოდეს, რა ხდება ჩვენს ლიტერატურაში, რა ახალი რომანები დაიწერა, ვინ მიიღო ლიტერატურული პრემია, ვინ მოვიდა ლიტერატურული ახალგაზრდობიდან, რაზე მუშაობენ ცნობილი მწერლები და სხვა. ეს კი დროული ინფორმაციის საქმეა...

რა თქმა უნდა, გაგრძელდება პრაქტიკა ლიტერატურული გვერდების გაცვლისა. მაგრამ გვერდს მუდამ ამჩნევია ერთგვარი საზეიმო ელფერი, თითქოს მივეცით გვერდი და ამით მოვრჩით საქმეს. ლიტერატურული ურთიერთობა და ურთიერთგამდიდრება კი გულისხმობს თანმიმდევრულ, სისტემატურ მუშაობას, თარგმნას, გამოცემას, ობიექტური ლიტერატურული აზრის შექმნას.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის სასიამოვნო განწყობილება, რაც ეუფლება ადამიანს სამედ ვურღუნის „პოეზიის სახლში“ შემოსვლისას. ეს დიდებული სახლია, დასტური აზერბაიჯანელი ხალხის წმიდა სიყვარულისა პოეტური სიტყვისადმი. ამ სახლის კედლებში, სადაც პოეზია სუფევს, რომლის კედლებიდანაც შემოგვცქერენ დიდი პოეტები სამი ერისა, მინდა ვირწმუნო ჭეშმარიტება იმ ლამაზი ლეგენდისა, რომელიც გადმოგვცემს: უდიდესი პოეტები — რუსთაველი, ნიზამი და ხაჯანი პოეტურ პაექრობას უმართავდნენ ერთმანეთსო. არ შეიძლება ჭეშმარიტი პოეზიის ფასი არ ესმოდეს იმ ხალხს, რომელიც პოეზიის პატივსაცემად ამგვარ სახლს აგებს.

დღევანდელი შეხვედრა აუცილებელი და დროული იყო. მსგავსი შეხვედრები, ცხადია, კვლავაც უნდა მოეწყოს. წელიწადში ერთხელ მაინც საშუალება უნდა გვქონდეს ჩვენში, სომხეთში თუ აქ, აზერბაიჯანში შევჯამოთ განვლილი მუშაობა და შევადგინოთ სამომავლო გეგმა.

დილარა ალიევა: ჩვენი ხალხების მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს, ალბათ იმდენივე, რაც ეს ხალხები ცხოვრობენ და არსებობენ, ამიტომ ცნობილ ფაქტებს საუბრით თავს არ შეგაწყენენ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს წინაპართა მიერ ასე მყარად ჩაყრილ საფუძველს არ მოვუაროთ. ტრადიცია დიდი, ერთიანი კავშირისა უნდა გაგრძელდეს. აქეთ რომ მოვდიოდი, სწორედ გიორგი ლეონიძეზე ვფიქრობდი. ამ დღეებში ნომ საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა პოეტის იუბილე. იმ იუბილეზე რომ გამოვსულიყავი, აუცილებლად წავიკითხავდი ბარათს, რომელსაც ლეონიძე უგზავნის აზერბაიჯანული გაზეთის რედაქტორს, რომელსაც მისთვის წერილის დაწერა უთხოვია. რამდენი სითბო, რამდენი სიყვარული, რა დიდი ვაჟკაცობა და თავგამოდებაა ამ ბარათში! და საერთოდ, სიყვარულის გარეშე რა საქმე გაკეთდება? აქ საუბარი ჩამოვარდა თარგმანებზე. ჩემი აზრით, და ეს არ არის ალბათ მარტო ჩემი აზრი, თარგმანი მხოლოდ და მხოლოდ ორიგინალიდან უნდა შესრულდეს. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვთ ჩვენს ბალტიისპირელ მეგობრებს. სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი არა გვყავს მაღალკვალიფიციური მთარგმნელები. მარტო ურთიერთპატივისცემით კი შორს ვერ წავალთ. საქმე უნდა გავაკეთოთ და თანაც სიყვარულით გავაკეთოთ. პირადად მე სწორედ სიყვარულმა მათარგმნინა არაერთი ქართული ნაწარმოები. ვთარგმნი მხოლოდ იმას, რაც მომწონს, რაზეც შემიძლია სიყვარულით მუშაობა. ამგვარი სიყვარული მე შეძლებისდაგვარად დავადასტურე ჩემს ბოლოდროინდელ თარგმანშიც, რევაზ ინანიშვილის მოთხრობების თარგმანისას.

ლეილა ერაძე: აქ ბევრი რამ ითქვა ქალბატონ დილარა ალიევასა და ჩემზე, არ ვიცი პირადად ჩემი შრომა იმსახურებს თუ არა ამოდენა შეფასებას. გეტყვით მხოლოდ, რომ დღემდე აზერბაიჯანულიდან ქართულად თარგმნილი და გამოცემული მაქვს ოცზე მეტი წიგნი. მალე მკითხველი მიიღებს სამ ახალ წიგნს. ესენია: მირზა იბრაჰიმოვის რომანი „ფარვანა“, ისმაილ შიხლის „ბობოქარი მტკვარი“, ჯალალ მამედოვის მოთხრობები.

სამმამავლოდ კი მკითხველს ვპირდები (და ეს არ არის მხოლოდ დაპირება, რადგან წიგნი უკვე მზადა მაქვს) ჩვენი დღევანდელი მასპინძლის, ნარიმან ჰასან ზადეს ლექსების კრებულს.

●

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოტორმა მირალი სიდოვმა, ჟურნალ „ლიტერატურული აზერბაიჯანის“ განყოფილების გამგემ ალი ვეჟილმა და პოეტმა, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის მდივანმა სიავუშ მამედზადემ.

აზერბაიჯანის კომპარტიის ყაზახის რაიკომის პირველმა მდივანმა აქრამ ყულიევმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს საქმიანი საუბრისათვის, და თქვა: ახლოვდება დიდი თარიღები ორი მოძმე ხალხების ცხოვრებაში — საქართველოს და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მე-60 წლისთავი. ვუსურვებ ქართველ და სომეხ მეგობრებს ღირსეულად შეხვდნენ ამ დიდ ზეიმს.

„მრგვალი მაგიდის“ შემდეგ სტუმრები და მასპინძლები ყაზახის კულტურის სახლში შეხვდნენ რაიონის ახალგაზრდობას, პოეზიის მოყვარულებს. პოეზიის საღამოზე თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს აზერბაიჯანელმა, ქართველმა და სომეხმა მწერლებმა, გამოვიდნენ ყაზახის ლიტერატურული ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ისმოდა აზერბაიჯანული, სომხური და ქართული პოეტური სიტყვა.

თამაზ ჯვარიძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

ესთეტიკა

ალორძინების ესთეტიკა და ქართული რენესანსი

(ა. ლოსევის „ალორძინების ესთეტიკის“ გამოსვლის გამო)

ელგუჯა ხინთიბიძე

საყოველთაოდ ცნობილია რენესანსის ეპოქის მიღწევები პოეზიასა და ლიტერატურაში, ფერწერასა და სკულპტურაში, ისტორიოგრაფიასა და პოლიტიკურ აზროვნებაში, ბუნების მეცნიერებებში. ამ ეპოქამ ახალი სიტყვა თქვა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში და გადამწყვეტი როლი შეასრულა თანამედროვე ადამიანის ფორმირებაში. მისი წვლილი და მნიშვნელობა ხელოვნებისა და მეცნიერების ცალკეულ დარგთა განვითარებაში მრავალმხრივი შესწავლის საგანია. სპეციფიკური კვლევის ობიექტია საკუთრივ რენესანსულის პრობლემა, ანუ საზოგადოდ რენესანსული აზროვნების თავისებურებისა და თავისთავადობის, რენესანსული მსოფლშეგრძნების, მისი წყაროებისა და მისი მეობის საკითხი. თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში ამ საკითხის კვლევისას ტონის მიმცემად ითვლება ერნსტ კასირერის, პაულ კრისტელერის, ეტიენ ჟილსონის, ბრუნო ნარდისა და სხვათა შრომები. ევროპული რენესანსის სწორედ ეს ასპექტი არის ფართო განხილვის საგანი ცნობილი საბჭოთა მეცნიერის, ფილოსოფოსის ისტორიის დიდი მკვლევარის ალექსეი ფეოდორის ძე ლოსევის ახლახან გამოცემულ მონოგრაფიაში „ალორძინების ესთეტიკა“ (მოსკოვი, 1978).

ა. ლოსევის წიგნში ესთეტიკა არ არის ვიწროდ, სპეციფიკურად გააზრებული ტერმინი და არ გულისხმობს მოძღვრებას მხოლოდ მშვენიერების, ან კიდევ სინამდვილის მხატვრული ასახვის კანონების შესახებ. ალორძინების ესთეტიკაში ა. ლოსევი მოიაზრებს რენესანსის ეპოქის მსოფლშეგრძნებას, რენესანსულ აზროვნებას საზოგადოდ. ამიტომაა, რომ ნაშრომი რენესანსის ეპოქის ფორმირების, განვითარების და დასრულების ისტორიულ ჭრილშია მოაზრებული: პროტორენესანსი XIII საუკუნისა და მომზადება რენესანსისა XIV საუკუნეში, ადრინდელი ალორძინება, მაღალი რენესანსი, გვიანდელი ალორძინება, რენესანსული ესთეტიკის დაშლა (XV-XVI საუკუნეებში) და რენესანსული ესთეტიკის სიკვდილი. თითოეული მონაკვეთი რენესანსული აზროვნების განვითარების ამ ხანგრძლივი ეპოქისა განხილულია მრავალმხრივად. ცალკე ქვეთავებადაა გამოყოფილი ზემოთმითითებულ ზოგიერთ მონაკვეთში ალორძინების ფილოსოფია, მეცნიერება, რელიგია, ხელოვნება და ლიტერატურა. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულადაა შესწავლილი ცალკეული მაგისტრალური ფილოსოფიური მიმართულებანი: პლატონიზმი, ნეოპლატონიზმი და ჰუმანიზმი; იდეალიზმი და მატერიალიზმი; XVI საუკუნის იტალიური პანთეიზმი. საგანგებო კვლევის საგანია ალორძინების ხანის რამდენიმე უდიდესი წარმომადგენლის აზროვნება. ესენია — ლეონ ბატისტა ალბერტი, ნიკოლოს კუზანელი, ლორენცო ვალა, პიეტრო პომპონაცი, სანდრო ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ფრენსის ბეკონი, ალბრეხტ დიურერი, სავონაროლა, მატიას გრიუნევალდი. თემატიკის ფართო მასშტაბით ხედავ ა. ლოსევს არც ერთხელ არ აცდენს თავის საკვლევ ობიექტს. იგი ყველა შემთხვევაში იკვლევს რენესანსის ესთეტიკას ფართო გაგებით, ალორძინების მსოფლშეგრძნებას, მის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ საფუძველს.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ალორძინების ეპოქის გაგებაში ბევრი რამ შეიცვალა. ა. ლოსევის წიგნი მხარს უჭერს ამ ახალ პოზიციებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია რენესანსის აზროვნების შუა საუკუნეებთან მიმართების საკითხი. ძველი დროის საუნივერსიტეტო პრაქტიკა შუა საუკუნეებსა და რენესანსს ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება. მიჩნეული იყო, რომ შუა საუკუნეები სასულიერო დოგმატიკის ბატონობაა, მეცნიერებისა და ხელოვნების განუვითარებლობა, მისტიკა და ბნელეთია; მაშინ, როცა რენესანსი ამ შუასაუკუნეებრივ ბნელეთს მკვეთრად ემიჯნება და ნათელ ანტიკურობაზე დაყრდნობით კაცობრიობას თავისუფალ და ამქვეყნიურ ფილოსოფიას შესთავაზებს. ა. ლოსევის დასკვნით, ეს კონცეფცია თავისი აბსტრაქტული კატეგორიებიდან ზოგიერთ მათგანში შეიძლება სწორიც იყოს, მაგრამ დღეისათვის მდგომარეობა ცოტა უფრო რთულადა ჩანს და ევროპაში შუა საუკუნეებიდან რენესანსზე მკვეთრი გადასვლის ამ აბსტრაქტული სქემის გამეორება უკვე დიდი ხანია შეუძლებელია. ა. ლოსევი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ალორძინება, მგსავსად ყმაწვილისა, რომელიც უჭანყდება თავის მშობლებს და ეძებს მხარდაჭერას პაპებთან, მზად იყო დაეგეწყვებინა ყოველივე, რითაც შუა საუკუნეებიდან იყო დავალებული და გადაეჭარბებინა ანტიკურობის მნიშვნელობა. ამავე დროს ა. ლოსევს ისიც აქვს შენიშნული, რომ მიუხედავად რენესანსული ესთეტიკის შუა საუკუნეებრივ ორთოდოქსიასთან კავშირისა, ეს ორთოდოქსია მთელი ალორძინების ეპოქის განმავლობაში უცვლელი არ დარჩენილა. შუასაუკუნეებრივი ტრადიცია რენესანსის ეპოქაში შეირყა მთელი თავისი სიღრმით და ალორძინების ხანის სულიერი რევოლუციის შემდეგ ვეღარასოდეს დადგა ფეხზე სრულყოფილი შუასაუკუნეებრივი დოქტრინის სახით.

ალორძინების ეპოქის აზროვნების შუა საუკუნეების სქოლასტიკასთან დამოკიდებულების განსაზღვრის სიახლე კარგად ჩანს რენესანსის ეპოქისათვის არისტოტელეს ფილოსოფიის მნიშვნელობის ახლებურად დანახვაში. ალორძინების მკვლევარი შორის ტრადიციულად დამკვიდრებული იყო აზრი, რომ რენესანსის ეპოქის ფილოსოფია იყო არისტოტელესთან ბრძოლა, რომ ნეოპლატონიზმი ალორძინების აზროვნებაში მკვეთრად უპირისპირდება და ანეიგებს არისტოტელეს. ამგვარი შეხედულება ა. ლოსევს ეჩვენება, როგორც ტა ლეგენდა, საფუძველს იღებს თვით ალორძინების ეპოქიდან. რენესანსის დიდი წარმომადგენლები, უმეტესობა მათ შორის ალორძინების ეპოქაში არ იყო ყოველთვის ბრძოლა, იყო ცდა მათი მორიგებისა. რენესანსის ეპოქის დიდი მოღვაწე არისტოტელიანელი პიეტრო პომპონაცი იყენებდა პლატონისტთა ნაწერებს და ეკამათებოდა, ან ითვისებდა ზოგიერთ მათ იდეას. ა. ლოსევის შენიშვნით რენესანსული ესთეტიკის ფილოსოფიურ-თეორიული ტიპს საფუძველი ეყრება XIII საუკუნის ფილოსოფიაში ე. წ. სქოლასტიკის წარმომადგენლებთან — თომა აქვინელთან, ბონავენტურასთან, ულრიხ სტრასბურგელთან. თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე კი თომა აქვინელის ფილოსოფია უნდა მიჩნეულ იქნას შუასაუკუნეებრივი არისტოტელესა და შუასაუკუნეებრივი ნეოპლატონიზმის, კერძოდ არეოპაგელის, სიმფონიის ცდად. ალორძინების ხანის პლატონისტებიც კმაყოფილებით აღიარებდნენ მათი ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებაში შუა საუკუნეების სწავლულების და არისტოტელეს ფილოსოფიის გავლენას (მარსილიო ფიჩინო, პიკო დელა მირანდოლა). რენესანსული პლატონიზმის კიდევ სხვა წყაროს წარმოადგენდა შუასაუკუნეებრივი მისტიციზმი და ავგუსტინიზმი. საზოგადოდ ფილოსოფიის სწავლებას რენესანსის ეპოქაში თავიდან ბოლომდე არისტოტელიანელები წარმართავდნენ.

თვლის რა, რენესანსის ესთეტიკას ჰუმანისტურ ნეოპლატონიზმად, ამით ა. ლოსევი უკვე მიუთითებს, რომ ალორძინების ესთეტიკა ვერ დაიფუძნდებოდა მხოლოდ ერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას; თუნდაც პლატონიზმს ან ნეოპლატონიზმს. მაგრამ ხომ არ იქნება უმჯობესი ვიმსჯელოთ არა ე. წ. ჰუმანისტურ პლატონიზმზე, რენესანსის საფუძვლად მიიჩნევს ანტიკური ნეოპლატონიზმის შემდგომ გადამუშავებას — არეოპაგიტიკას. 2. ალაირებს გვიანდელი შუა საუკუნეების ქართველ მოაზროვნეთა პრიორიტეტს დასავლეთ ევროპის წინაშე არეოპაგიტიკული იდეების ქადაგებაში. 3. სარწმუნოდ თვლის ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციას. ამასთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვნადაა მიჩნეული ქართველ მკვლევართა ღვაწლი დასავლური რენესანსის ძირეული პრობლემების კვლევის საქმეში. შალვა ნუცუბიძის უზარმაზარი დამსახურება ის არის, — წერს ა. ლოსევი, — რომ მან უაღრესად ენერგიულად და რეალური ფაქტების მომარჯვებით დასაბუთა აღმოსავლეთის გავლენა დასავლეთზე, დასავლური რენესანსის საწყის ეტაპზე. „ქართული ალორძინების მკვლევარებმა დასაბუთეს, — განაგრძობს მეცნიერი, — რომ ქართველი მოაზროვნეები იყენენ მოთავენი ნეოპლატონური და არეოპაგიტული რენესანსისა ევროპაში, რომ მთ ამ თვალსაზრისით უთუოდ ეკუთვნით პრიორიტეტი, და რომ ამ შემთხვევაში მათ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას. ამაზე კამათი შეუძლებელია“. „შალვა ნუცუბიძესთან ერთად, — წერს სხვა ადგილას ა. ლოსევი,— არეოპაგიტიკის ავტორად პეტრე იბერის გამოცხადება ჩვენც სავსებით სარწმუნოდ მიგვაჩნია“.

ამასთან ერთად, ა. ლოსევი, ვფიქრობთ, სავსებით სწორ პოზიციაზე დგას, როდესაც არ ეთანხმება არეოპაგიტიკის დ XII საუკუნის ქართული ფილოსოფიის შეფასებაში ზოგიერთი ქართველი მკვლევრის თვალსაზრისს: 1. ა. ლოსევის აზრით, შ. ნუცუბიძე ცდება, როდესაც ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტიკას თვლის ერეტიკულ და ანტისიეკლესიო მოძღვრებად. ა. ლოსევის აზრით, არეოპაგიტული მისტიკა ზოგჯერ მართლაც იდგა ოფიციალური ღვთისმეტყველების ოპოზიციაში, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არეოპაგიტიკაში შედის არა მხოლოდ მისტიკური თხზულებანი, არამედ წმინდა საეკლესიო ორთოდოქსიის ტრაქტატებიც. ასევე არ არის სწორი ევროპული რენესანსის ქრისტიანულ ერესად მიჩნევა, თუმცა იგი ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც იყო განსაკუთრებული ტიპის ქრისტიანობა, ხოლო ზოგჯერ სავსებით დაშორებული ქრისტიანობისაგან. ამ თვალსაზრისით დასავლურ რენესანს ახასიათებს გაუგონარი სიცარელე. საკმარისია დავასახელოთ რენესანსის სამი დიდი წარმომადგენელი, სამივე ნეოპლატონიკოსი: პაპის კარდინალი ნიკოლოზ კუზანელი. ჭეშმარიტად საერო ფილოსოფოსი მარსილიო ფიჩინო და ერეტიკოსად შერაცხული და კოცონზე დამწვარი ჯორდანო ბრუნო. 2. ა. ლოსევის მითითებით, ანტიისტორიზმია იოანე პეტრიწის შემოქმედებაში მატერიალისტურ-ათეისტური ელემენტების ძიება და მისი შემოქმედების წარმართულ, ერეტიკულ ან პანთეისტურ ხასიათზე ლაპარაკი. ამ შემთხვევაში იგი მხარს უჭერს ქართველი მეცნიერების — მოსე გოგიბერიძისა და კორნელი კეკელიძის თვალსაზრისს, რომლებიც იოანე პეტრიწის ფილოსოფიას ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველზე განმარტავენ. 3. ა. ლოსევი ილაშქრებს წინააღმდეგ შ. ნუცუბიძის ცდისა, რომ შენიშნულ იქნას რუსთაველის შემოქმედებაში თავისებური მატერიალიზმის ელემენტები და ამ გზით გამოცხადდეს იგი ერეტიკოსად, რათა დასავლური რენესანსის სათავეში მოექცეს. მისი შენიშვნით, რუსთაველის შემოქმედებაში არ ჩანს მატერიალიზმი და იგი არ ყოფილა არავითარი ერეტიკოსი; საზოგადოდ მატერიალიზმი და ათეიზმი ამ დროისათვის დასავლურ რენესანსში არ არსებობდა.

რენესანსის ეპოქასთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვა დღეისათვის მრავალი პოზიციიდან ხდება. ამიტომაა, რომ თითოეულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ბუნებრივია, ა. ლოსევის მონოგრაფიაშიც, რომელიც რენესანსის კარდინალურ პრობლემებს ახალი სიხრულით იხილავს, არის საკამათო დებულებებიც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას გავამახვილებთ ორიოდე საკითხზე:

1. ა. ლოსევის დასკვნით, ალორძინების ესთეტიკის საფუძველი, ის მოძღვრება, რასაც ეყრდნობოდა ალორძინების ესთეტიკა თავიდან ბოლომდე, არის პლატონიზმი და ნეოპლატონიზმი. მხოლოდ იგი განსხვავდება ანტიკური და და შუასაუკუნეებრივი ნეოპლატონიზმისაგან თავისი ჰუმანისტური და საერო ხასიათით. ახე, რომ ალორძინების ესთეტიკა არის ჰუმანისტური ნეოპლატონიზმი.

მართლაც, პლატონიზმი რენესანსული აზროვნების ერთი ძირითადი ფილოსოფიური მიმართულება იყო. მას ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა რენესანსულ ლიტერატურაზე. რენესანსული პლატონიზმი, როგორც ფილოსოფია, საფუძველს იღებს თვით ალორძინების ეპოქიდან. ფიჩინოს, ბრუნოს, ბეკონის, ბოტიჩელის, ალბერტ დიურერის, სავონაროლას, მატიას გრიუნევალდის, ალბერტ ალბერტის, ნიკოლოს კუზანელი, ლორენცო ვალა, პიეტრო პომპონაცი, სანდრო ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ფრენსის ბეკონი, ალბრეხტ დიურერი, სავონაროლა, მატიას გრიუნევალდი. თემატიკის ფართო მასშტაბით ხედავ ა. ლოსევს არც ერთხელ არ აცდენს თავის საკვლევ ობიექტს. იგი ყველა შემთხვევაში იკვლევს რენესანსის ესთეტიკას ფართო გაგებით, ალორძინების მსოფლშეგრძნებას, მის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ საფუძველს.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ალორძინების ეპოქის გაგებაში ბევრი რამ შეიცვალა. ა. ლოსევის წიგნი მხარს უჭერს ამ ახალ პოზიციებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია რენესანსის აზროვნების შუა საუკუნეებთან მიმართების საკითხი. ძველი დროის საუნივერსიტეტო პრაქტიკა შუა საუკუნეებსა და რენესანსს ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება. მიჩნეული იყო, რომ შუა საუკუნეები სასულიერო დოგმატიკის ბატონობაა, მეცნიერებისა და ხელოვნების განუვითარებლობა, მისტიკა და ბნელეთია; მაშინ, როცა რენესანსი ამ შუასაუკუნეებრივ ბნელეთს მკვეთრად ემიჯნება და ნათელ ანტიკურობაზე დაყრდნობით კაცობრიობას თავისუფალ და ამქვეყნიურ ფილოსოფიას შესთავაზებს. ა. ლოსევის დასკვნით, ეს კონცეფცია თავისი აბსტრაქტული კატეგორიებიდან ზოგიერთ მათგანში შეიძლება სწორიც იყოს, მაგრამ დღეისათვის მდგომარეობა ცოტა უფრო რთულადა ჩანს და ევროპაში შუა საუკუნეებიდან რენესანსზე მკვეთრი გადასვლის ამ აბსტრაქტული სქემის გამეორება უკვე დიდი ხანია შეუძლებელია. ა. ლოსევი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ალორძინება, მგსავსად ყმაწვილისა, რომელიც უჭანყდება თავის მშობლებს და ეძებს მხარდაჭერას პაპებთან, მზად იყო დაეგეწყვებინა ყოველივე, რითაც შუა საუკუნეებიდან იყო დავალებული და გადაეჭარბებინა ანტიკურობის მნიშვნელობა. ამავე დროს ა. ლოსევს ისიც აქვს შენიშნული, რომ მიუხედავად რენესანსული ესთეტიკის შუა საუკუნეებრივ ორთოდოქსიასთან კავშირისა, ეს ორთოდოქსია მთელი ალორძინების ეპოქის განმავლობაში უცვლელი არ დარჩენილა. შუასაუკუნეებრივი ტრადიცია რენესანსის ეპოქაში შეირყა მთელი თავისი სიღრმით და ალორძინების ხანის სულიერი რევოლუციის შემდეგ ვეღარასოდეს დადგა ფეხზე სრულყოფილი შუასაუკუნეებრივი დოქტრინის სახით.

ალორძინების ეპოქის აზროვნების შუა საუკუნეების სქოლასტიკასთან დამოკიდებულების განსაზღვრის სიახლე კარგად ჩანს რენესანსის ეპოქისათვის არისტოტელეს ფილოსოფიის მნიშვნელობის ახლებურად დანახვაში. ალორძინების მკვლევარი შორის ტრადიციულად დამკვიდრებული იყო აზრი, რომ რენესანსის ეპოქის ფილოსოფია იყო არისტოტელესთან ბრძოლა, რომ ნეოპლატონიზმი ალორძინების აზროვნებაში მკვეთრად უპირისპირდება და ანეიგებს არისტოტელეს. ამგვარი შეხედულება ა. ლოსევს ეჩვენება, როგორც ტა ლეგენდა, საფუძველს იღებს თვით ალორძინების ეპოქიდან. რენესანსის დიდი წარმომადგენლები, უმეტესობა მათ შორის ალორძინების ეპოქაში არ იყო ყოველთვის ბრძოლა, იყო ცდა მათი მორიგებისა. რენესანსის ეპოქის დიდი მოღვაწე არისტოტელიანელი პიეტრო პომპონაცი იყენებდა პლატონისტთა ნაწერებს და ეკამათებოდა, ან ითვისებდა ზოგიერთ მათ იდეას. ა. ლოსევის შენიშვნით რენესანსული ესთეტიკის ფილოსოფიურ-თეორიულ ტიპს საფუძველი ეყრება XIII საუკუნის ფილოსოფიაში ე. წ. სქოლასტიკის წარმომადგენლებთან — თომა აქვინელთან, ბონავენტურასთან, ულრიხ სტრასბურგელთან. თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე კი თომა აქვინელის ფილოსოფია უნდა მიჩნეულ იქნას შუასაუკუნეებრივი არისტოტელესა და შუასაუკუნეებრივი ნეოპლატონიზმის, კერძოდ არეოპაგელის, სიმფონიის ცდად. ალორძინების ხანის პლატონისტებიც კმაყოფილებით აღიარებდნენ მათი ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებაში შუა საუკუნეების სწავლულების და არისტოტელეს ფილოსოფიის გავლენას (მარსილიო ფიჩინო, პიკო დელა მირანდოლა). რენესანსული პლატონიზმის კიდევ სხვა წყაროს წარმოადგენდა შუასაუკუნეებრივი მისტიციზმი და ავგუსტინიზმი. საზოგადოდ ფილოსოფიის სწავლებას რენესანსის ეპოქაში თავიდან ბოლომდე არისტოტელიანელები წარმართავდნენ.

თვლის რა, რენესანსის ესთეტიკას ჰუმანისტურ ნეოპლატონიზმად, ამით ა. ლოსევი უკვე მიუთითებს, რომ ალორძინების ესთეტიკა ვერ დაიფუძნდებოდა მხოლოდ ერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას; თუნდაც პლატონიზმს ან ნეოპლატონიზმს. მაგრამ ხომ არ იქნება უმჯობესი ვიმსჯელოთ არა ე. წ. ჰუმანისტურ პლატონიზმზე, ლოსოფიურ მიმართულებათა ურთიერთობის, ბრძოლის საფუძველზე. პლატონურ და არისტოტელურ იდეებს შორის ალორძინების ეპოქაში არ იყო ყოველთვის ბრძოლა, იყო ცდა მათი მორიგებისა. რენესანსის ეპოქის დიდი მოღვაწე არისტოტელიანელი პიეტრო პომპონაცი იყენებდა პლატონისტთა ნაწერებს და ეკამათებოდა, ან ითვისებდა ზოგიერთ მათ იდეას. ა. ლოსევის შენიშვნით რენესანსული ესთეტიკის ფილოსოფიურ-თეორიული ტიპს საფუძველი ეყრება XIII საუკუნის ფილოსოფიაში ე. წ. სქოლასტიკის წარმომადგენლებთან — თომა აქვინელთან, ბონავენტურასთან, ულრიხ სტრასბურგელთან. თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე კი თომა აქვინელის ფილოსოფია უნდა მიჩნეულ იქნას შუასაუკუნეებრივი არისტოტელესა და შუასაუკუნეებრივი ნეოპლატონიზმის, კერძოდ არეოპაგელის, სიმფონიის ცდად. ალორძინების ხანის პლატონისტებიც კმაყოფილებით აღიარებდნენ მათი ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებაში შუა საუკუნეების სწავლულების და არისტოტელეს ფილოსოფიის გავლენას (მარსილიო ფიჩინო, პიკო დელა მირანდოლა). რენესანსული პლატონიზმის კიდევ სხვა წყაროს წარმოადგენდა შუასაუკუნეებრივი მისტიციზმი და ავგუსტინიზმი. საზოგადოდ ფილოსოფიის სწავლებას რენესანსის ეპოქაში თავიდან ბოლომდე არისტოტელიანელები წარმართავდნენ.

ასე რომ, რენესანსული ელემენტი, რომელიც ჩანს რუსთაველის მსოფლმხედველობაში, არის სწორედ იმ ტიპის რენესანსული აზროვნება, რომელსაც ჰქონდა ადგილი XIII-XV საუკუნეების ევროპაში. რუსთაველის მსოფლმხედველობის რენესანსული ხასიათი ჩანს სწორედ იმაში, რაც არსებითია ევროპული რენესანსული აზროვნებისათვის ეს რაც საზოგადოდ არ ახასიათებს, ან ანალოგიური კატეგორიულობით არ ახასიათებს დიდ აღმოსავლელ პოეტებს: ფირდოუსის, გურგანის ნიზამის, ნავოის. ესაა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ანტიკური ბერძნული ფილოსოფიის შემოტანა, ინდივიდერენტაზმი ქრისტიანული დოგმატიზმისა და ასკეტიზმის მიმართ და ყურადღების გადატანა ადამიანის ანტიკურ იდეალზე. როგორც ადრინდელი რენესანსის ევროპას, ასევე რუსთაველს მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით არსებითად სამი სააროვნო წყაროო აქვს: ქრისტიანული ლიტერატურა, არისტოტელეს ლოგიკურ-მეტაფიზიკური აზრი ენება და ნეოპლატონური, კერძოდ, არეოპაგიტული, ფილოსოფია. აღმოსავლური გავლენა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე და საერთოდ შემოქმედებაზე უეჭველია, მაგრამ იგი თვისობრივად მხოლოდ იმ ფაქტორად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომელსაც გარკვეული როლი ენიჭება ადრინდელი რენესანსის ევროპულ აზროვნებაშიც.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე თანდათანობით და სტიქიურად ხდება ეჭვის შეტანა ადამიანის არსზე შუასაუკუნეებრივ თვალსაზრისში (ადამიანის ამქვეყნიური ყოფის არსებითად მხოლოდ იმქვეყნიური, საუკუნო, სულიერი ცხოვრების მოსამზადებელ ეტაპად მიჩნევა) და ამქვეყნიური, მიწიერი, ხორციელი არსებობის ფასეულობათა რეალობად მიჩნევა. ეპოქა, რომელიც ამ იმპულსით იწყება და შუა საუკუნეების ადამიანს ახალი დროის, თანამედროვე ეპოქის მიჯნამდე მიუყვანს, სპეციფიკურია სააზროვნო წყაროებითაც: ქრისტიანული თეოლოგიის განვითარების გარკვეული დონე, ანტიკური, ბერძნულ-რომაული, ფილოსოფიურ-ეთიკური იდეალი. უფრო კონკრეტულად, როგორც სპეციალური გამოკვლევები და მათ შორის ა. ლოსევის მონოგრაფია ცხადყოფს, რენესანსის ადრინდელი ეტაპის ფილოსოფიას ახასიათებს ადამიანის პროვლეგიასა და ღირსებაზე ჰუმანისტური კონცეფციის პრომატეთ ქრისტიანული ესთეტიკური იდეალის ცალკეული მომენტების შერწყმა (ან გადასინჯვა) ფართო გაგებით პლატონიზმის (ანტიკური პლატონიზმი, ნეოპლატონიზმი, არეოპაგიტიკა, ავგუსტინიზმი) და არისტოტელიზმის (ბერძნული არისტოტელე, არაბული არისტოტელიზმი, შუასაუკუნეებრივი სქოლასტიკა) კამათითა თუ სიმფონიით ჭეშმარიტად მიჩნეულ პოსტულატებთან.

რა თქმა უნდა, ფართო გაგებით ალორძინებაა კულტურისა და ლიტერატურის დაწინაურება საზოგადოდ ყველა ქვეყანაში, მიდუმეტეს, თუ იგი ადამიანის ამქვეყნიური, საერო იდეალის პრომატეთ ხასიათდება. ამ ფართო მნიშვნელობით გამართლებულია საუბარი ჩინურ და იერანული ალორძინებაზე, ბიზანტიურ და მუსლიმანურ რენესანსზე. მაგრამ სპეციფიკური გააზრებით რენესანსი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ტიპის აზროვნებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIII-XVI საუკუნეების ევროპაში. მართალია კულტურული ალორძინება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი იყო და არ არის საჭირო ყველა შემთხვევაში მათი ერთგვაროვნების ძიება. მაგრამ ამავე დროს იყო გარკვეული ეპოქა ქრისტიანული აზროვნების განვითარებისა, რომელმაც სხვადასხვა ქვეყანაში ერთი ტიპის აზროვნების მოდელი მოიტანა, და სწორედ მას ეწოდა რენესანსი: იტალიური რენესანსი, ფრანგული რენესანსი, საზოგადოდ ევროპული რენესანსი. ამიტომაც მეცნიერული თვალსაზრისით არ იქნება ზუსტი ამ ცნების იმ ქვეყანათა კულტურული დაწინაურების მიმართ გამოყენება, რომლებიც ალორძინების ამ სპეციფიკურ ტიპს არ ემსგავსებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ტერმინი ალარ გამოდგება იმ სპეციფიკურობაზე მისათითებლად, რაც მას აშკარად აქვს.

ამგვარი ალრევის კარგი მაგალითია რუსთაველის დაკავშირება აღმოსავლურ რენესანსთან. ალმოსავლური რენესანსის თეორიით რუსთაველის აზროვნება განსხვავებით ისტორიულად, კონკრეტულად ცნობილი რენესანსული ეპოქის, ევროპული რენესანსის ეპოქის, აზროვნებისაგან გამოაცხადა აღმოსავლურ რენესანსად და მოქცა ფირდოუსის, გურგანის, ნიზამის (XII ს.) დ. ნავოის (XV ს.) შორის (ა. კონრადი, დასავლეთი და აღმოსავლეთი, 1972, გვ. 265, 267). ამით კი რუსთაველის მსოფლმხედველობა დაშორდა ევროპულ რენესანსს და მიჩნეულ იქნა აღმოსავლურ მოვლენად, რაც მცდარ წარმოდგენას იძლევა რუსთაველის შემოქმედებაზე საზოგადოდ. ჭერ ერთი, რუსთაველი უშუალოდ აგრძელებს XII საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ აზრს, ხოლო ეს უკანასკნელი არის იმ ტიპის აზროვნება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპაში. ამ პერიოდის საქართველოს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალ-ეკონომიური წყობა და ლიტერატურული წარმატება არსებითად მსგავსი იყო. ერთგვარი იყო, როგორც საქართველოს, ისე დასავლეთ ევროპის პროგრესული ქრისტიანული აზროვნება. ეს იყო ანტიკის შერწყმა ქრისტიანობასთან, ქრისტიანული სამყაროს არსებითი პრობლემების განხილვა ანტიკური ბერძნული ფილოსოფიით. მეორეც, რუსთაველის მსოფლმხედველობითი პრობლემატიკა არის გვიანდელი შუა საუკუნეებრივ ქრისტიანულ პროგრესულ აზროვნებაში დასმული პრობლემატიკა, რომელიც შემდგომში დასავლეთ ევროპაში რენესანსულ აზროვნებამდე მივიდა.

ასე რომ, რენესანსული ელემენტი, რომელიც ჩანს რუსთაველის მსოფლმხედველობაში, არის სწორედ იმ ტიპის რენესანსული აზროვნება, რომელსაც ჰქონდა ადგილი XIII-XV საუკუნეების ევროპაში. რუსთაველის მსოფლმხედველობის რენესანსული ხასიათი ჩანს სწორედ იმაში, რაც არსებითია ევროპული რენესანსული აზროვნებისათვის ეს რაც საზოგადოდ არ ახასიათებს, ან ანალოგიური კატეგორიულობით არ ახასიათებს დიდ აღმოსავლელ პოეტებს: ფირდოუსის, გურგანის ნიზამის, ნავოის. ესაა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ანტიკური ბერძნული ფილოსოფიის შემოტანა, ინდივიდერენტაზმი ქრისტიანული დოგმატიზმისა და ასკეტიზმის მიმართ და ყურადღების გადატანა ადამიანის ანტიკურ იდეალზე. როგორც ადრინდელი რენესანსის ევროპას, ასევე რუსთაველს მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით არსებითად სამი საა როვნო წყაროო აქვს: ქრისტიანული ლიტერატურა, არისტოტელეს ლოგიკურ-მეტაფიზიკური აზრი ენება და ნეოპლატონური, კერძოდ, არეოპაგიტული, ფილოსოფია. აღმოსავლური გავლენა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე და საერთოდ შემოქმედებაზე უეჭველია, მაგრამ იგი თვისობრივად მხოლოდ იმ ფაქტორად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომელსაც გარკვეული როლი ენიჭება ადრინდელი რენესანსის ევროპულ აზროვნებაშიც.

ელგუჯა ხინთიბიძე

ჩვენი მილოცვა

დავით კვიცარიძე — 60



ძვირფასო დავით!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, შენი მეგობარი ქართველი მწერლები მხურვალედ მოგესალმებიან და მოგილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

შენ დიდი სამამულო ომის შემდეგ გამოხვედი სამწერლო ასპარეზზე და მრავალი საინტერესო და ყურადსაღები ნაწარმოები შესძინე მშობლიურ ლიტერატურას.

შენი რომანები „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“, „ნდობა“, „ორდოშვილის ტყეში“, „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“, მოთხრობები „კოცონი“, „მთარა“, „წუთისოფელი“ და სხვა ქართველი მკითხველის დამახსოვრებული მოწონებითა და აღიარებით სარგებლობს.

შენი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, აფხაზურ, სომხურ, პოლონურ ენებზე.

შენი შემოქმედების ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს რომანი „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“, სადაც ბელორუსიაში გამართული პარტიზანული ბრძოლებია აღწერილი. შენ თავად იყავი იმ ქარცეცხლიანი დღეების უშუალო მონაწილე, თავად გაიარე პარტიზანული ბრძოლების გმირული გზები. სწორედ ბელორუსიაში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოვდი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და საბრძოლო მედლებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შენი ნაყოფიერი მოღვაწეობა დრამატურგიაში. ქართული თეატრების სცენაზე წარმატებით იდგმებოდა პიესები „თოვლიან ღამეს“, „მამის კვალზე“, „გამარჯობა, ჩემო ქალაქო“ და სხვა.

ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდება შენი კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული ნარკვევები, რომლებიც ჩვენი დღევანდელობის აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებს ეხება.

წლების მანძილზე აქტიური საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევი.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ აი, უკვე 28 წელია, რაც ქუთაისის სამწერალო ორგანიზაციას თავკაცობ.

ძვირფასო დავით!

კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცავთ დაბადების 60 წლისთავს ნაომარ ვაჟკაცსა და მწერალს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

დავით კვიცარიძე სამოცი წლის გახდა. ამასთან დაკავშირებით დავით კვიცარიძის სახელზე მოვიდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობისა და ქართული ლიტერატურის საბჭოს მოლოცვა, რომელშიც აღნიშნულია მწერლის დამსახურება, მისი საბრძოლო და შემოქმედებითი გზის ძირითადი მომენტები.

საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის დავით

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

შოთა ამირანაშვილი

ტყუპები

ბებიკომ ფაფუკ ლოგინში
რომ ჩაანვინა მაგდა
და უთხრა: „ძილი ნებისა!“
გოგოს სიცილი წასკდა.
გაკვირვებულმა შეხედა:
— რა გაცინებსო, განა?!
— თამუნა ორჯერ დაბანე,
მე კი ერთხელაც არა.

თხუპნია

—რა მოთხუპნული დადიხარ,
პირი არ დაგიბანია,
ისევ გეტყობა სახეზე,
რაც დილას შეგიჭამია.
— მაშ აბა, მითხარ, რა ვჭამე? —
ტუჩებს იბზუებს ფაცია.
— რა დიდი მიხვედრა უნდა,
გოგრის ლაქები გაცხია.
— გოგრა ხომ გუშინ ვჭამეო! —
ჩაიკისკისა პანიამ.

ავთანდილ მეგრელიშვილი

გაზაფხული

თოვლის თეთრი ყაბალახი
მოიხადეს მთებმა,
მინდორ-ველი აბალახდა,
მინა მზეზე თბება.
საყანეში გაჩნდა ხნული,
ზვარში ტირის ვაზი,
შემობრძანდა გაზაფხული,
კეკლუცი და ნაზი.
გაიხარა ყველას გულმა
ფრინველების ხმაზე, —
მოგვიტანა გაზაფხულმა
მზე და სილამაზე!

ავთანდილ გურგენიძე

ვინ რას ხატავს

სიჩუმეა...
ცხოველები
რას ხატავენ ულრან ტყეში?
ზოგს — ნახშირი,
ზოგს — ფანქარი,
ზოგს უჭირავს ფუნჯი ხელში...

დათუნია
ფუტკარს ხატავს,
მელაკუდა —
მსუქან ქათამს,
ზღარბი — ვაშლებს
ციყვი — კაკლებს,
თაგუნიას ხატავს კატა.

მგელი — კურდღელს,
ქორი — ბუს,
ობობა კი —
ქსელში ბუზს...

პაწაწინა წრუწუნამ კი
არც აცხელა,
არც აცია.
მეფე ლომი დახატა და
სუყველანი გააქცია.

ეთერ სახვაძე

ახალი ლექსები

გზაჯვარედინთან

მზემ ააფეთქა თეთრი ხიდები,
ნაგები ზამთრის ცივ ლოლიავით,
მთლად დაიბუგა იანვრინდელი
ყინვები,
თოვლი
და ლოლუები.
აღარაფერი ბრუნდება უკან,
ჩაქცეულია გზები უკლისად,
ნაცვლად ახალი გახსნილა ქუჩა
და ჩვენც მივყვებით გაზაფხულისკენ.
გზაჯვარედინთან ფეთქავს პეპელა,
ფერად კოპლებით —
შუქნიშანივით —
ცვლის სინათლეებს
რიგ-რიგ, ნელ-ნელა:
მგზავრთ არაფერი დაუშავდეთო...

ვედრება

რომ წახვიდე, წამიყვანე,
წამიყვანე შენთან, მარტო,
და მაჩვენე ის ქვეყანა,
თერთმეტი თვე საცა ნათობ.
თორე რაა ჩემი ყოფა:
ისე წავა მკა და თიბვა,
მარიობა, ენკენობა,
არაფერი არ მომხიბლავს.
შენთან კი მშვენება მთელი
თრთის,
მარადი ცეცხლის მთა ვით,
ვნახავ, შენი საჩრეთელით
როგორა სჭრი მისგან ყვავილთ,
როგორა სჭრი მისგან ფრთეთა,
ბალახთ დაბალთ,
ლრუბელთ მაღალთ,
შენგან წაგვრილს ვნახავ დედას,
მეფე გალაკტიონს ვნახავ...

დიდყვავილობა

მზე აისროლეს გორებმა ცადა,
უთხრეს, წადიო,
გზაა რამდენი;
მერე მომაპყრეს მის ნათლის ნაცვლად
უფრო მბრწყინავი სიციაგენი.
ყაყაჩოებით წითს მათგან ერთი,
ხოლო მეორე შროშნებით თეთრობს,
მესამე — სოსანთ სილურჯით ფეთქავს,
ყვითლად ანთია მეოთხე ფერდო.
ზედა ხეობა სულ ცისფერია,
ქვევით სიმწვანეს გააქვს ბრიალი,
და თუ სახლისკენ გზა ამერია,
იქნება
მარტო სინათლის ბრალი...

სანაპიროზე

ემატებიან ყვავილები ყვავილებს
კვლავაც,
ყვავილოვანთა ზეიმია და ადის
კვამლი...
მე დავიქანცე განუწყვეტელ
დაფით, ბუკითა,
გავაღე კარი
და გავედი გაზაფხულიდან.
გაველ ზღვის პირას,
მთლად ქვიშა რომ იყო შიშველი,
ამ ქვიშის მიღმა ელვარებდა
ყვავილთ სიმშვენე;
ხოლო პირდაპირ აყვავებულ სივრცეებისა
ზღვა ბობოქრობდა
და ცისფერი ნისლი ენისლა.
მათ ორთა შუა,
რიყის ზოლის ნელ სიმშვიდეში,
მე, ორივესგან შეუვალი, მივაბიჯებდი
და დმერთს ვმადლობდი,
რომ ქარებით ზე აფაფრულნი,
ცალ-ცალკე ქუხდნენ, დიდროობდნენ
ზღვა, გაზაფხული...



დიდი ქართველი მხატვარი

ეს შთამაგონებელი სახე ჩახრუხაძისა იაკობ ნიკოლაძემ შექმნა. ეს სახე ძვირფასია ყველასათვის, ვინც იცნობს ქართული ფერწერისა და ქანდაკების მრავალსაუკუნოვან ისტორიას და ამ ისტორიაში დიდი ქართველი მოქანდაკის, ახალი ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებლის იაკობ ნიკოლაძის დამსახურებას.

იაკობ ნიკოლაძის დაბადების 100 წლისთავი ზეიმია მთელი ქართული მხატვრული კულტურისა.

ვფიქრობთ ჩვენს სახელოვან თანამემამულეზე, და თვალწინ უპირველესად ცოცხლდება მისი უკვდავი ქმნილებები — „მწუხარე საქართველო“, „ჩრდილოეთის ასული“, „აკაკი“, „ილია ჭავჭავაძე“ და სხვა.

იაკობ ნიკოლაძე პირველთაგანია მათ შორის, ვინც შექმნა სკულპტურული სახე დიდი ლენინისა. მისი ნამუშევრები „ლენინი“ და „ლენინი „ისკრის“ პერიოდში“ შთამბეჭდავი ქმნილებებია საბჭოთა მხატვრული ლენინიანისა.

იაკობ ნიკოლაძემ განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ტრადიცია ქართული სახვითი ხელოვნებისა, მან შექმნა სრულიად ახალი, დროის შესატყვისი მხატვრული სამყარო და საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ქანდაკებას. „ქართული სტილის“ შეგრძნება, რაც ჯერ კიდევ „მწუხარე საქართველოში“ გამოჩნდა, უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად იქცა მხატვრის მთელი შემდეგდროინდელი შემოქმედებისა.

დახვეწილი, დიდი კულტურის მოქანდაკე!

ჭეშმარიტი შემოქმედი!

ნამდვილი სახალხო მხატვარი!

ამგვარად დარჩა იგი თანამამავლობის ხსოვნაში...

ქართული მწერლობის დიდი მეგობარი, ქართველ მწერალთა დაუვიწყარი სახეების ქვაში გამცოცხლებელი — ასეთად იგონებს ჩვენი მწერლობა დიდ იაკობ ნიკოლაძეს, რომელიც სამარადუამოდ განისვენებს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში, მის მიერვე შექმნილ „მწუხარე საქართველოს“ ახლოს.

ვაღაკვიორნი ვაცოცხლდა ქვაში

რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სიდიადე. გვშორდებიან დღეები, როდესაც ჩვენ გვერდით ვხედავდით ბუმბერაზ პოეტს, დატვირთულს ცხოვრების წვრილმანებით, მებრძოლს ყოველდღიურ საზრუნავთან. მაშინ ის ჩვენთვის, რა დასამალია და უფრო მახლობელი ჩანდა, უფრო ხელმისაწვდომი, უფრო ჩვეულებრივი, თუ გნებავთ, უფრო რეალური. პოეტის სიდიადეს ყოველთვის ვგრძნობდით, თაყვანსაც ვცემდით, მაგრამ სანამ ჩვენს შორის ტრიალებდა, თუნდაც შორეულ ლაშქარებზე და მწვერვალებზე მეოცნებე, თითქოს მაინც გვიძნელდებოდა სრულად აღგვექვა და შეგვეცნო მეორე — საუკუნის პოეტური აზროვნების უდიდესი წარმომადგენელი.

ყველაფერი ჯერ ისევ წინ არის, სრული შეცნობაც და საყოველთაო მსოფლიო აღიარებაც.

ოც წელზე მეტია, რაც გალაკტიონი ჩვენს შორის აღარ არის, ვერ ვხედავთ მისთვის საყვარელ ადგილებში, ჩვეული ყესტითა და ნაცნობი ღიმილით. და ახლა, როდესაც თანდათანობით ყველაფერი „ლაგდება“, როდესაც დრო თანდათან გვაშორებს ტაბილად მოსაგონარ ეპიზოდებს, ამბებს, დაკავშირებულს დიდი პოეტის ცხოვრებასთან, ნათელი ხდება „მთაწმინდის მთვარის“ ავტორის განსაკუთრებული სიმაღლე. ჩვენ თანდათან ვთავისუფლდებით დროის ერთიანობის სიმძიმისაგან და საშუალება გვეძლევა შორიდან შევხედოთ ქართული პოეტური აზროვნების მწვერვალს, რომელიც ჩვენს დროში, ჩვენს გვერდით ამოიზიდა სქელი ნისლიდან და თავის ქვეყანას ახალი სივრცე და მასშტაბები გადაუშალა თვალწინ.

თუმცა, ჩვენ კიდევ არ გვყოფნის დისტანცია გალაკტიონის პოეზიის სრულად აღსაქმელად, იგი ათასი ნერვით და ძაფითაა ჩვენსავე ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, ჩვენს მოგონებებში დაფუძნებული და თითქოს არ გვეთმობა ეს სიახლოვე... მომავალი თაობები კი ისევე თავისუფლად, ისევე შორიდან დაკავირდებიან გალაკტიონის პოეზიას, ცხოვრებასა და ზის დროს, როგორც ვაკვირდებით და ვსწავლობთ დღეს ჩვენ ვაუას, ილიას, აკაკის, ბარათაშვილის, გურამიშვილის, რუსთაველის პოეზიას.

და ჩვენ ყველანი ცხადად ვგრძნობთ ამ ჭეშმარიტებას. გალაკტიონის პოეზიის უნივერსალურ შინაარსს ადვილად ვერავინ აფასებს, სრულად ვერავინ დაინახავს. ერთ რამეს კი ყველა ხედავს, გალაკტიონის პოეტურმა აზროვნებამ თავისი უნიკალური თვისებებით კიდევ ერთხელ დაადასტურა ეროვნული პოეტური კულტურის ამოუწურავი შესაძლებლობები. მის პოეზიაში ჩვენი ფიქრი ეზიარა მეოცე საუკუნის უდიდეს სულიერ მოვლენებს, „მსოფლიო გარდაქმნათა“ პროცესს და ისე ორგანულად შეუერთდა ჩვენი დროის მსოფლიოს დიდ მდინარებებს, როგორც ეკადრებოდა ეს რუსთაველისა და ვაუას ქვეყანას. ჩვენი აზროვნება გალაკტიონის პოეზიამ დაიფარა ყოველგვარი პროვინციალიზმისაგან და მსოფლიოს სულიერ ცხოვრებას შეგვახვედრა არა როგორც ლიტერატურული თანამგზავრი, არამედ როგორც უშუალო მონაწილე ამ სულიერი ცხოვრებისა. ყველაფერი ეს მის პოეზიაშია ბეჭედდასმული. მან შეგვიქმნა ახალი ტრადიცია მსოფლიო კულტურასთან დირსეულად შეხვედრისა. მსოფლიო ქვეყნების ურთიერთობის გაღრმავებული შინაარსისათვის კი ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება ხვალ.

ამ შეგნებით გვზრდის იგი. ამ შეგნებით ეკიდება გალაკტიონს შთამომავლობა. დიდი ხანია ქართველი ხალხი ოცნებობდა პოეტის ძეგლზე. ძეგლზე, რომელიც გამოხატავდა მის დამოკიდებულებას გალაკტიონის პოეტურ აზროვნებასთან.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ამ დღეებში თბილისში აღიმართა გალაკტიონის ძეგლი (მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე).

ყველას თავისებურად აქვს წარმოდგენილი გალაკტიონის ძეგლი. მისი პოეზია თავისი მრავალპლანიანობითა და ორიგინალურობით გულმოდგინედ კვებავს ამ წარმოდგენებს. მაგრამ რაოდენიც არ უნდა იყოს განსხვავება ამ წარმოდგენებსა და თბილისში აღმართულ პოეტის ძეგლს შორის, ერთი რამ უდავოა, ჯუნა მიქატაძის მიერ შექმნილი უაღრესად ორიგინალური, მეტყველი, სდიადით დამუხტული ქანდაკება, სერიოზული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ძეგლის გახსნის ცერემონიალი ამიტომაც იქცა სახალხო ზეიმად. მოქანდაკეს თავის ნაწარმოებში ჩაუქსოვია არაჩვეულებრივად ღრმა, ფაქიზი სიყვარული პოეზიისადმი, ჩვენი დამოკიდებულება დიდ პოეტურ სიტყვასთან.

ქანდაკების აზრობრივი დატვირთულობა და ხაზგასმული ემოციურობა გვეხმარება თითქოს გალაკტიონის პოეზიის შეცნობაში.

ჩვენი ქალაქი გამდიდრდა ერთი უაღრესად საინტერესო სკულპტურული ნაწარმოებით.

ჯანსუღ ღვინჯილია

საიათნოვას ხსოვნა

პოეზიის მრავალი თაყვანისმცემელი მოვიდა წელს საიათნოვას საფლავზე, სადაც, ტრადიციისამებრ, მაისის თვის ბოლო კვირის ზეიმით აღინიშნება პოეტის ხსოვნის დღე. ამ მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულს საფუძველი ჩაუყარეს ოვანეს თუმანიანმა, იოსებ გრიშაშვილმა, იოსებ იმედაშვილმა და გეორკ ბაშინჯაღიანმა.

ახლანდელ დღესასწაულზეც პოეტის საფლავზე მოვიდნენ თბილისელები, სტუმრები მომმე სომხეთიდან.

პოეტის ხსოვნის საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ციციშვილმა.

საიათნოვას სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე შექმნილ მდიდარ მემკვიდრეობაზე ილაპარაკეს სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა მ. სარქისიანმა, სომეხმა პოეტებმა ო. შირაზიმ, ლ. დურიანმა, ა. ოვნათანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. ნონეშვილმა, პოეტმა თ. ჯანგულაშვილმა, გ. შანაზარმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარემ ბ. სეირანიანმა და სხვებმა.

საიათნოვას საფლავზე გამართული მიტინგი აშუღებისა და მომღერლების შეჯიბრად იქცა. დამსწრეთ მოუსმინეს აბოვიანისა და კიროვაკანის კულტურის სახლთან არსებულ ხალხური საკრავების ანსამბლ „საიათნოვას“, აგრეთვე, თბილისის სკოლების მოსწავლეების გამოსვლას.

საიათნოვასადმი მიძღვნილ მიტინგს დაესწრო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

წყნარი დონი და მუშოთვარე ეპოქა

გიორგი ნატროშვილი

როგორც ყველა დიდ ეპიკურ ქმნილებას, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში მთელ ეპოქას ქმნის, მიხეილ შოლოხოვის „წყნარ დონსაც“ თავისი სათავე, თავისი პირველადელი საწყისი ძველ ხალხურ თქმულებებში აქვს. თვით ლრმა შინაარსით აღსავსე სახე-გამოთქმა, სათაურად რომ შეურჩია ავტორმა თავის რომანს — „წყნარი დონი“, ავტორს უძველესი კაზაკური ბილინებიდან აუღია. და საოცარ ეფექტს ახდენს მკითხველზე ის ამბავი, რომ წყნარი დონი, თურმე არასოდეს წყნარი არ ყოფილა; პირიქით, აქ მუდამ ბობოქრობდა დაუცხრომელი ქარიშხალი ისტორიისა, მოუსვენარი და დაუდგრომელი, ძირფესვიანად რომ არყევდა ყველა სოციალურ და პოლიტიკურ საწყისებს. და ამაოდ როდი წაუმძღვარა შოლოხოვმა თავის რომანს სტროფონები ძველი ეპიკური თქმულებებიდან, სადაც აღნიშნულია, რომ გუთანი კი არ ხნავდა წყნარი დონის თვალუწვდენელ მინდვრებს, არამედ იგი გადათქერილი იყო ცხენთა ფლოქვებით; რომ რუსეთის ამ ვეება მდინარის ტალღა სანახევროდ წყნარი დონია და სანახევროდ დედების ცრემლები; რომ ყვავილების ნაცვლად აქ ქვრივობლების ცრემლები კიაფობენ. ასე ამბობს ძველი ბილინა და თვითონ დიდი ეპიკოსი მიხეილ შოლოხოვიც ამ სტუდენტებით იწყებს თავის ეპოპეას.

თანამედროვე რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში სულ უფრო და უფრო დაბეჭითებით გაისმის აზრი, რომ „წყნარი დონი“ თავისი მნიშვნელობით, მასშტაბურობითა და მხატვრული ძალით მეორე ნაწარმოებია მთელი რუსული ლიტერატურის ისტორიაში ლევ ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ შემდეგ. კლასიკურად უბრალოა იგი, მართალი, სადა, გასაგები და მახლობელი, მკითხველს იტაცებს დინჯი, აუღელვებელი, მაგრამ შინაგანად საოცრად დაძაბული თხრობა. თითქოს რომანს კი არ კითხულობ, თვითონ ესწრები და შენი თვალით უცქერი ხალხის მღელვარე ცხოვრებას, რომელზედაც მწერალი აუღელვებლად, კლასიკური, ტოლსტოისებური სიმშვიდითა და დადინჯებით მოგვითხრობს.

აუღელვებლად? ასეა ვითომ? ვნახოთ ბოლო სტროფონები შოლოხოვის მეორე შესანიშნავი რომანისა — „გატეხილი უამირი“:

„აი, გამოიტირეს დონის ბულბულებმა ჩემთვის გულით საყვარელი დავიდოვი და ნაგულნოვი, ჩურჩულით გააცილა ისინი სამწიფეში შესულმა ჭეჭილმა, ჩუხჩუხით — პატარა უსახელო მდინარემ, სადღაც ზევიდან გრემიაჩის ლაქაშებიდან რომ მოედინება... გათავდა ყველაფერი!“

იშვიათ შემთხვევაში მიმართავს შოლოხოვი ე. წ. ლირიკულ გადახვევას, მიმართავს იმისათვის, რომ მკითხველს უთხრას, ჩემი პერსონაჟებიდან ესა და ეს მოყვარსო. მაგრამ აქ, „გატეხილი უამირის“ ბოლო თავებს რომ წერდა, მწერალმა თავის თავს ნება მისცა დონის ბულბულებთან, ქარზე მოშრიალე ყანებთან, ლაქაშებიდან წამოსულ ნაკადულთან ერთად გამოეტირებინა მერის ტყვიებით დაცხრილული თავისი ყველაზე საყვარელი გმირები — გრემიაჩი ლოგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სემიონ დავიდოვი და პარტუჯრედის მდივანი მაკარ ნაგულნოვი... პირველი მათგანი ოცდახუთიათასელი მუშაა, პუტილოველი ზეინკალი, თავისი მხრებით რომ გადაიტანა მთელი სიმძიმე და სიძნელე პირველი კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისა; მეორე — ასევე თავგაწირული და თავდადებული ჯარისკაცია რევოლუციისა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გამოვლილი, ახლა, ოცდაათიან წლებში გზას რომ უხსნის სოფლის ღატაკებს ნათელი ცხოვრებისაკენ. მაკარ ნაგულნოვი არის სრულყოფილი გამოხატულება იმისა, რასაც რევოლუციის უშკნობი რომანტიკა ეწოდება.

საერთოდ, ამ წიგნიდან ჩვენ წინაშე წარმოსდგებიან მონუმენტური, განსაცვიფრებელი უბრალოებითა და სისადავით გამოძერწილი სახეები, რომლებიც სრული უფლებით შედიან მსოფლიო ლიტერატურის საუნჯეში; ეს კლასიკური სახეებია... ერთი ბიჭია, წყნარი, დაფიქრებული, ყველაფერი მისხალ-მისხალ რომ აქვს აწონილი, შვიდჯერ რომ ზომავს და ერთხელ რომ სჭრის; მეორე ფიცხია, დაუდეგარი, მუდამ შემართული და არ იცი, როდის იფეთქებს... დაუმატეთ მათ პაპა შჩუკარი, განუყრელად რომ თან ახლავს მაკარს და ვინ მოთვლის, რაზე არ ესაუბრება... პაპა შჩუკარი თამამად შეიძლება დავუყენოთ გვერდით უიღბლო საუფრელთმტვირთველ სანჩოსაც, მამაც ჯარისკაც შეიეყსაც, კოლა ბრუნიონსაც. განმარტება არ სჭირდება იმას, რომ ყველა ესენი ფრიად თავისებურნი არიან, არ ჰგვანან ერთიმეორეს და ერთ ყალიბში არ არიან ჩამოსხმულნი, მაგრამ ეს თავთავანთი კეთილი ეროვნული იუმორით აღბეჭდილი განუმეორებელი სახეები აუცილებელნი არიან რომანტიკული საწყისის გვერდით. ესაა კომიკური ჰეროიკულის გვერდით, რათა უფრო სრულყოფილად წარმოაჩინოს ცხოვრება მთელი სირთულითა და მრავალფეროვნებით.

„გატეხილ უამირში“, მიუხედავად მძაფრი და მკაფიო ეროვნული კოლორიტისა, ეროვნული ფესვებისა, ნაჩვენებია ზოგადკაცობრიული სახეები. სიტყვა „მიუხედავად“, იქნება არც არის აქ საჭირო; ჭეშმარიტად დიდი შემოქმედების დიალექტიკა სწორედ ის არის, ეროვნულის პრიზმაში ზოგადადამიანური დაინახო. ამ ყველაზე მაღალი რანგის მწერლებზე ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ისინი იმიტომ არიან „მსოფლიონი“, რომ მათ ნახატში რომელი ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ, რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან, უწინარეს ყოვლისა, ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება. რამდენადაც მწერლის შემოქმედების ძალა სწვდება ამ ზოგადკაცობის ტიპსა, იმოდენად მსოფლიოა“.

ასეთ რჩეულთა შორის რჩეულების რიცხვს ეკუთვნის მიხეილ შოლოხოვი; თანამედროვე რუსულმა პროზამ არ იცის უფრო დიდი სახელი. მისი დიდებული რომანები — „წყნარი დონი“, „გატეხილი უამირი“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“, მისი მშვენიერი მოთხრობები მარად ცოცხალი, განუმეორებელი მატიანეა რუსეთის ცხოვრებისა, დაწყებული პირველი მსოფლიო ომით და დამთავრებული ჩვენი დღეებით.

„წყნარი დონი“ — ესაა რომანი-ეპოპეა, რომელიც აღბეჭდავს ყველაზე მძაფრსა და ქარიშხლიან ისტორიულ ეპოქას. რით გაიმარჯვა შოლოხოვმა? იმით, რომ იგი წერს სიმართლეს და მუდამ მართალია აწმყოსა და მომავლის წინაშე. საყოველთაოდ აღიარებული აზრია, რომ შოლოხოვმა თავის „წყნარ დონში“, პირველად ჩვენს ლიტერატურაში მთელი ძალით აჩვენა ტრაგიკული რევოლუციასა და სამოქალაქო ომში. ამ დიდი, უზარმაზარი ტალანტის მქონე მხატვარმა შეძლო ეჩვენებინა მძაფრი შემობრუნება ისტორიისა, შეძლო ეჩვენებინა, თუ როგორ მოხდა, რომ გლეხთა მრავალმილიონიანი მასები, კერძოდ, მუდამ შფოთიანი კაზაკობა გადაჭრით დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, გაჰყვა კომუნისტურ პარტიას და მის მიერ ნაჩვენები გზა მიიჩნია ერთადერთ სწორ და მართალ გზად. ეს იყო რთულზე რთული პროცესი და მას თან ახლდა გრიგოლ მელეხოვის ტრაგედია, ესოდენ დამახასიათებელი ამ მძაფრი ისტორიული გარდატეხის ეპოქისათვის.

ესაა ტრაგედია ადამიანისა, უბრალო კაცისა, ერმელმაც დაკარგა გზა. ის მიწის მხვნელ-მთესველად არის დაბადებული და შორეულ ფრონტებზე სიზმარშიც კი იმას ხედავს, როგორ დაბრუნდება შინ, გაიხდის შინელს, ჩაიცვამს გლეხურ ტანსაცმელს და ჩაეჭიდება გუთნის სახელურს; უცხო ქვეყანაში ის ხანდახან აიღებს ხელში ბელტის ნატეხს თუ ავშნის ბალახს, ეცრესს თითებში... ეჰა, ეს სამშობლოს მიწა არ არის, უცხოა, ვერ უცვნია მისი სურნელი. და აი, ეს უბირი კაზაკი, დონზე გაზრდილი ტლუ ბიჭი უკვე დივიზიის მეთაურია და წინ მიუძღვის თავის ჯარს თავისივე ხალხის ასაკლებად, თუმცა ცოტა ხნით ადრე წინ მიუძღოდა თავის თანამოძმეებს — მხვნელ-მთესველებს ამ თეთრი დივიზიის

პუბლიცისტიკა

ვინ არის მაყურებელი?

გურამ კეტრიკაშვილი

მინდა ფეხბურთზე ვილაპარაკო. ასეთასი კაცი სტადიონზე და მილიონობით ტელევიზორებთან ზის და უცქერის ამ თამაშს. უცქერის ქვეყნის დიდ-პატარა და ეს თამაში იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტი გახდა ჩვენი ცხოვრებისა, რომ უთუოდ მწერლების საქმეცაა, იფიქრონ და ილაპარაკონ ფეხბურთზე. ღირს მსჯელობა.

ფეხბურთი სპორტული თამაშია, მაგრამ იგი საკმაოდ რთული მოვლენა ხდება, როცა თვით თამაშს ემატება კიდევ ერთი ფაქტორი — მაყურებელი. მას არავითარი კონკრეტული ამოცანა არ აკისრია. მაყურებელია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ჩვენ სწორედ მაყურებელზე გვექნება უმთავრესად ლაპარაკი.

აი, ზის ტრიბუნაზე ან ტელევიზორის წინ. ვინაა? მაყურებელი, მორჩა და .გათავდა! მაგრამ არც ასე მარტივადაა საქმე. იმიტომ, რომ მაყურებელში ცხოვრობს ორი კაცი: ერთია ფეხბურთის, როგორც ლამაზი სპორტული სანახაობის მოყვარული, მეორე კი— გულშემატკივარი, ანუ რომელიმე გუნდის სატურნირო წარმატებებზე მოფიქრალი.

იმის მიხედვით, თუ მაყურებლის არსებაში როგორ უთანხმდებიან ერთმანეთს ფეხბურთის სილამაზის მოყვარული და გუნდის გულშემატკივარი, შეგვიძლია ვთქვათ, თუ როგორ მაყურებელთან გვაქვს საქმე.

როცა მაყურებლის გულში ფეხბურთის სილამაზის მოყვარული და გუნდის გულშემატკივარი ჰარმონიულ თანხმობაში არიან, მაშინ ჩვენს წინაშეა კარგი მაყურებელი, ანუ ფეხბურთის ნამდვილი მაყურებელი. ეს თავისთავად მშვენიერი მოვლენაა და იმდენადვეა საჭირო კარგი სპორტის არსებობისათვის, რამდენადაც — კარგი სპორტსმენი.

ნამდვილ მაყურებელს ესმის ფეხბურთი, ტკბება მისი სილამაზით, ახარებს ყოველი კარგი დარტყმა, ფინტი თუ კარგად ჩაფიქრებული კომბინაცია; არ უყვარს, როცა უხეშად თამაშობენ ან უპატიოსნოდ და ულამაზოდ იქცევიან ფეხბურთელები მოედანზე. მას სურს ლამაზი სანახაობა, ღირსეულ მეტოქეთა შერკინება და მისი გუნდის პატიოსანი, ალალი და უსაყვედურო გამარჯვება.

ასეთია ნამდვილი მაყურებელი. ასეთია ჩვენი მაყურებლის დიდი ნაწილი...

მაგრამ არსებობს მაყურებლის სხვა კატეგორიაც, სამწუხაროდ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი...

ფეხბურთის სილამაზის შეგრძნებას, ისევე როგორც ყველა სხვა სილამაზისას, სულიერ ძალთა გარკვეული დაძაბვა სჭირდება: ფეხბურთის წესებში კარგად გარკვევა, ცოდნა იმისა, თუ რა ფიზიკური თვისებების მჭოლე საგანია ბურთი, რამდენად ძნელია მისი დამორჩილება და რამდენ სიმარჯვეს იჩენს ფეხბურთელი, როცა თითქოს იოლად დაძვრა ეგი თავის ნებაზე, ასევე საჭიროა მძაფრი გრძნობა სიტუაციისა, უნარი პასების ლამაზი გეომეტრიის დანახვისა და ა. შ.

რაკი ფეხბურთის სილამაზე ცოტა ძნელი დასანახია, ბევრი ვერ გრძნობს მას და საკმაოდ ხშირად გვხვდება მაყურებელი, რომელიც სულ არაა ფეხბურთის სილამაზის მოყვარული და მასში ცხოვრობს მხოლოდ თავისი გუნდის წარმატებებით თუ მარცხით აღელვებული კაცი.

გულშემატკივარი მეტად კარგი სიტყვაა და მენანება ასეთი მაყურებლისათვის. ამიტომ ასეთ მაყურებელს პირობითად ფეხბურთომანს დავარქმევდი. ფეხბურთომანისთვის უცხოა ლამაზი ფეხბურთით ტკბობა, ის თავისი გუნდის ქულების თვლით და ანგარიშითაა გართული. *

ფეხბურთომანის გამოცნობა ძნელი არაა: იგი ყოველთვის ლაპარაკობს. ერთი და იგივეზე, თუ რომელ გუნდს რამდენი ქულა აქვს, ვინ ვის როგორ უნდა მოუგოს, ვინ სად წააგოს და ვინ ვის ქულა უნდა „მისცეს“, რომ მისი გუნდი პირველ ადგილზე გავიდეს. და არც ერთი სიტყვა თვით თამაშზე და მის პერიპეტიებზე — ეს ფეხბურთომანს არ აინტერესებს, ვერც ერკვევა ამაში.

ფეხბურთომანობის საფუძველი ობივატელობა გახლავთ. ობივატელს კი მხოლოდ და მხოლოდ მისთვის სასარგებლო შედეგი აინტერესებს და მეტი არაფერი.

ობივატელი ზარმაცია, მას არ სურს საგანში თუ მოვლენაში მათი ნამდვილი არსი დაინახოს. წიგნი წასაკითხად კი არ უნდა, არამედ იმისთვის, რომ თაროზე შემოდოს, თეატრი კი არ აინტერესებს, არამედ სურს მეზობლის აჩვენოს პროგრამა, ამ ნაქებ სპექტაკლზე ვიყავიო...

ფეხბურთი...

ფეხბურთი რაღად უნდა ობივატელს? მისთვის ფეხბურთი, როგორც ცნება, არ შეიცავს შინაარსს ლამაზი სპორტული სანახაობა-შეჯიბრისა, ამიტომ ამ ცნების შინაარსი ცარიელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ სიცარიელეს თვით ობივატელიც კი ვერ იტანს და მან მოიფიქრა: უფრო „დიდი“ შინაარსით შეავსო ცნება — ფეხბურთი არის არა მარტო სპორტული, არამედ საერთოდ პრესტიჟის საქმე...

მოვიგონოთ გასული შემოდგომისდროინდელი ამბები.

მხეიდელობაში მაქვს აჟიოტაჟი, რომელიც ატყდა თბილისის „დინამოს“ იმ მატჩების ირგვლივ, ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირში რომ ჩაატარა.

რას მოითხოვდნენ ფეხბურთომანები თბილისის „დინამოსგან“?

ლამაზ, კარგ თამაშს? თუ ასეა, მაშინ ყველა კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, რადგან „დინამომ“ ითამაშა ლამაზად, კარგად და ღირსეულად წაადგა ღირსეულ მეტოქეთან.

არა, „დინამოსგან“ მოითხოვდნენ გამარჯვებას და მხოლოდ გამარჯვებას.

და როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მატჩები მთელი საქართველოს საერთო პრესტიჟისათვის ბრძოლად მიიღო ობივატელმა.

სამწუხაროა ისაა, რომ ობივატელმა იმძლავრა და მან ისეთი ხალხიც აქეზა, ვისაც მეტი სიბრძნე მართებდა.

დაიბეჭდა ლექსები, სადაც ეს მატჩები პირდაპირ იქნა შედარებული ქართველი ხალხის მიერ გადატანილ დიდ ისტორიულ ბრძოლებთან.

„მამბურგთან“ მატჩის პროგრამაზე მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკების („კიდევაც დაიზრდებიან“) ფოტო იყო დაბეჭდილი.

„ყველაფერი დღეს გადწყდებაო“ გვეუბნებინებდნენ გაზეთები.

ცხადზე ცხადია, რომ ცნებათა ასეთი აღრევა შეუწყნარებელია.

ჯერ ერთი, საფეხბურთო მატჩის შედარება დიდ ბრძოლებთან მკრეხელობაა. იგი შეურაცხყოფს იმ ბრძოლების ყველა მონაწილეს და საერთოდ საქართველოს ბრძოლებით სავსე ისტორიას, რადგან ისტორია და მისი მძიმე დრამატიზმი თამაშთან იგივდება.

მეორე: ფეხბურთის მატჩის მნიშვნელობა არ შეიძლება აღემატებოდეს იმას, რაც მას აქვს. მატჩი მატჩია. ესაა სპორტული შეჯიბრი და აქ შეიძლება წყდებოდეს მხოლოდ სპორტული პრესტიჟის საქმე.

ობივატან დამახასიათებელ მაგალითს.

„ლივერპულთან“ გამარჯვების მეორე დღეს ერთ დიდ სტენდზე მატჩის სხვადასხვა მომენტების ამსახველ ფოტოებთან ერთად გაჩნდა დიდი წარწერა: „ესეც შენი ლივერპულო!“

ეს ხომ აშკარა დაცინვაა.

ასევე დამარცხებული მეტოქის (და მომავალი მეტოქის) დაცინვითაა სავსე სტრიქონები, რომლებსაც მე აქ მოვიტან. ავტორთაგან ზოგი უბრალო მაყურებელია, ზოგი — უურნალისტია, ზოგი — სპორტსმენი.

„თუ ინგლისის ლივერპულს დასავლეთ გერმანიის „მამბურგსაც“ მიაყოლებთ (ბაზგასა ყველგან ჩემია — გ. პ.) ყველანი დიდად გახარებულნი ვიქნებიან, წარმოიდგინეთ — გოგონებიც“. „ქართველმა ფეხბურთელებმა პირდაპირ გაანადგურეს ლივერპული, თანაც წმინდა ინგლისური ამინდის თანხლებით“... „იქნებ ინგლისელებს დასავლეთ გერმანელი ფეხბურთელებიც მიაყოლოთ.. „ჰეარა, რომ „მამბურგსაც“ იგივე დღეს დაეურთ“... „დიახ, უკლებლივ ყველა 90 ათასივე მაყურებელი თუ მილიონობით ტელემაყურებელი დარწმუნებული იყვნენ, რომ თბილისის დინამოელები შედეგდნენ ინგლისელთა დაჩოქებას“, „დინამო— დინამოს“ ჩოქჯენში ყავდა „ლივერპულ-ლივერპული“. „არადა, მართლა ვერ ეტყოდი სტუმრებს: წვიმა გიმდერდა ნანახაო“. (ეს ბოლო მაგალითი მეტოქის დაცინვისა სპორტული ყურნალისტის წერილიდანაა და, ცხადია, არ ეპატიება, რადგან იგი თვითონაა მოვალე, შეებრძოლოს სპორტული ეთიკის დარღვევებს).

დამარცხებული მეტოქის დაცინვა რა საკადრისია! ხვალ ხომ შენც შეიძლება დამარცხდე! გამარჯვებაც და დამარცხებაც ღირსეულად უნდა მიიღო.

„მამბურგის“ მწვრთნელმა „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ კი არ დასცინა ჩვენს ფეხბურთელებს, არამედ ახე თქვა: „მე უწინდებურად ვამტკიცებ, რომ ესაა მაღალი კლასის გუნდი. მას მეტი შეუძლია“...

ავადმყოფური აჟიოტაჟი სახიფათოა სპორტული ეთიკისთვის და საერთოდ ეთიკისათვის.

გამოგიტყდებით, შეშფოთებული ვუყურებ ხოლმე, როცა ტრიბუნაზე მეზობლად ფეხბურთომანი დაიწყებს ისტერიკულ ყვირილს: „მოცელე!“ „მოკალი“!... ღმერთმა იცის, რას იზამს იგი მეორე წუთში.

დიახ, საკმარისია საგანს თუ მოვლენას სხვა მნიშვნელობა მიანიჭო და მყისვე ათასი სიმახინჯე წამოყოფს თავს!

რადგან ფეხბურთომანის მიზანი ერთია, — გამარჯვება ნებისმიერი ხერხით და საშუალებით, ამიტომ მას სურს, რომ მსაჯის ყოველი გადაწყვეტილება მხოლოდ მისი გუნდისთვის იყოს სასარგებლო.

ფეხბურთომანი-მაყურებელი არაეთიკური მიმართება მსაჯისა და მოწინააღმდეგისადმი თავდასაცავად ხომ ცუდია და კიდევ იმითაცაა მავნე, რომ ხანდახან იგი გადაეცემა ფეხბურთელებსაც და როდესაც მოედანზე მოწინააღმდეგისა და მსაჯის უპატივცემულობა იგრძნობა, ეს უკვე სპორტი კი არა, ჩვეულებრივი ჩხუბია, საცქერლად ულამაზო და ნამდვილი ფეხბურთის მოყვარულის გრძნობების შეურაცხმყოფელი.

მე, როგორც მაყურებელს და გულშემატკივარს, თბილისის „დინამოს“ „მამბურგთან“ დამარცხებაზე უფრო სხვამ დამწყვიტა გული. ერთ საფეხბურთო მომენტში გერმანელმა ფეხბურთელმა ერთ-ერთი ჩვენი ფეხბურთელი წააქცია და მაშინვე ხელი გამოუწოდა, რაც ნიშნავდა, უნებლიეთ მომივიდა, ხომ იცი ფეხბურთია, არ გეწყინოსო... მაგრამ გამოწვდილი ხელი ჰაერში დარჩა...

რატომ არღვევენ ფეხბურთელები სპორტულ ეთიკას? ალბათ ეს იმის გამო ხდება, რომ ხანდახან ფეხბურთომანების აჟიოტაჟით მოტყუებულთ მათაც სჯერათ, რომ ესა თუ ის მატჩი სპორტული შეხვედრა კი არა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, სადაც ეთიკას აღარ უნდა უყურო.

მინდა შევახსენო მათ, რომ სპორტულ ბრძოლაში წაგებული არც ერთი მატჩი არაა სამარცხვინო. სამარცხვინო შეიძლება იყოს, მხოლოდ არასპორტული საქციელი. სპორტის მიზანია არა გამარჯვება საერთოდ, არამედ გამარჯვება ღირსეულად, ვაჟკაცურად.

ეს არ უნდა დაავიწყდეთ იმათაც, ვინც სპორტზე წერს, თორემ მოხდება ისეთი კურიოზი, როგორიც წავიკითხეთ ფეხბურთზე დაწერილ ერთ სტატიაში. იქ გამარჯვებისათვის ასეთი რჩევას აძლევდა ფეხბურთელებს ავტორი: მოწინააღმდეგის უხეშობას ხაზი უნდა გაუსვათო. სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ იმაზე მეტი ტკივილი უნდა გამოხატოთ, ვიდრე გეტკინათო, თუ ოდნავ გიბიძგეს, თქვენ მაგრად წაიქცეთო, ანუ ეს იყო სიმულაციისკენ მოწოდება.

სამწუხაროა ისაა, რომ ზოგმა ფეხბურთელმა ეს შეიძლება სამოქმედო პროგრამადაც დაიხახოს. გვინახავს კიდევ მოედანზე გაშხლართული ვაჟკაცები, თვალდახუჭული რომ ელოდებიან მსაჯის სასტვენს, რომელმაც ან ჯარიმა უნდა აჩუქოს ან პენალტი.

ეს ულამაზო საქციელია. თუ დავუშატებთ, რომ ყოველივეს უექცერის უამრავი ბავშვი ტელევიზორებთან, ეს საქციელი ეთიკური დანაშაულიც კია, რადგან ბავშვი ყოველთვის გრძნობს სიყალბეს, ახლაც უექცერის ბალახზე წამოწოლილ ძიას და ხედავს, რომ ძია ტყუის: ერთი წუთის შემდეგ იგი არხეინად ირბენს ისევ. მაგრამ ამ ტყუილს არავინ ამხელს. პირიქით, მხარს უჭერს ყველა. რას სწავლობს ბავშვი ამ ფეხბურთელ ძიასგან? რომ გამარჯვების მისაღწევად ტყუილიც კარგი საშუალებაა?

ალბათ დამეთანხმებით, არც ერთი თასი, მთლად გალატიკების ჩემპიონთა თასიც კი, არ ღირს იმად, რომ მოიტყუოს კაცმა.

რას ემყარება სწორი შეხედულება სპორტზე? იმას, რომ სპორტული შეჯიბრება რაინდული ასპარეზობაა და მისი სილამაზე არის არა მხოლოდ ფიზიკურ მოძრაობებში, არამედ ადრეთვე (და იქნებ უპირველესადაც) ლამაზ, ეთიკურ ქცევაშიც.

გავიხსენოთ ქართული ჭიდაობა: როცა ერთ-ერთი მოჭიდავე მუხლს შეახებს ხალიჩას, მეტოქე მყისვე ხელს უშვებს მას. რადგან ულამაზო იქნებოდა ჭიდაობის განგრძობა, თუ არათანაბარ მდგომარეობაში იქნებიან მეტოქენი. გავიხსენოთ როგორ აცხადებენ ხოლმე ჭიდაობის უშედეგო დამთავრებისას, ორივე კარგი ბიჭები არიანო. და ბოლოს ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ქართული ჭიდაობის ბოლოს მეტოქეებმა ერთმანეთი უნდა გადაკოცონ აუცილებლად.

ვაჟკაცი არის არ მარტო, ის ვინც გაიმარჯვებს სპორტულ ორთაბრძოლაში, არამედ ის, ვინც ღირსეულად შეიყვარებს გამარჯვებას და ასევე ღირსეულად აიტანს დამარცხებასაც.

განა ულამაზო არ არის როცა გამარჯვების სურვილით გონდაკარგული მწვრთნელი შემთხვევით ტელეკამერის ობიექტივშიც მოხვდება და მთელი ქვეყნის ქალი, კაცი თუ მოზარდი ხედავს მის უხეშ ეტლტეს და ხანდახან ხმამაღალ ნათქვამი გინებაც ესმის. ამ შემთხვევაში ამის მაგალითად, მე მაგონდება არა ფეხბურთის, არამედ ერთი სხვა სპორტული ასპარეზობა...

დახანანია, რომ ზოგჯერ ბეშაჯრიტ გულშემატკივრობას ვერ იჩენენ ხოლმე ისინიც, ვისაც პროფესია ავალებს იყოს ნამდვილი მაყურებელი და ნამდვილ ქომაგი სპორტისა.

სპორტულ ჟურნალისტებზე მოგახსენებთ.

თუ გავიხსენებთ, როგორი იყო ჩვენი გაზეთების გვერდები „ლივერპულთან“ გამარჯვების შემდეგ და რას სწერდნენ „მამბურგთან“ მატჩის წინ, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რას და რამდენს დაწერდნენ ამ მატჩის მოგების შემთხვევაში. სხვა მასალებისათვის შეიძლება ადგილი აღარც დარჩენილიყო. დამთავრდა ეს მატჩი და ზოგი გაზეთი სულაც არ გამოეხმაურა მას, ზოგი ძალიან ძუნწად და უხალისოდ, თითო-ორ-ოლა სტრიქონით.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ ინფორმაციას, რომლებიც წაგებას იუწყებოდნენ, ხელს არ აწერდა არავინ; „ლივერპულთან“ გამარჯვების შემდეგ კი ყველა იჩქაროდა, რომ მახარობელი ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, სპორტულმა ჟურნალისტებმა ზურგი აქციეს დამარცხებულ გუნდს. თითქოს შემოსწყრნენ და გაებუტნენ მას.

რატომ არ დაფიქრდნენ სპორტული ჟურნალისტები, რომ გაბუტვის უფლება მათ არა აქვთ? ამის უფლებას მათ არ აძლევთ პროფესია.

ახლა მაყურებელი? რამდენჯერ ვუოფილვართ იმის მომსწრენი, რომ უშვერი სიტყვების კორიანტელი დგას სტადიონზე; გუშინდელ თავიანთ საყვარელ ფეხბურთელს, რომელსაც დღეს თამაში ისე ვეღარ გამოუვიდა, ლანძღვა-გინებით იკლებენ. გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ამგვარი მაყურებელი საკუთარ უკულტურობას ამყლავნებს, ფეხბურთელებსაც გულს უტეხს და კარგი თამაშის ხალისს უკარგავს, ისიც ხომ სათქმელია, რომ ამის გამო სტადიონზე ქალისა და ბავშვის თანხლებით წასვლა უკვე უხერხული გახდა.

დასასრულს უნდა ვთქვა, რომ ამ წუთას ქართული ფეხბურთის სამყაროს ორ ჯგუფს შორის: ფეხბურთელებსა და მაყურებლებს შორის, უპირატესობა აშკარად ფეხბურთელების მხარეზეა. თბილისის „დინამო“ კარგად თამაშობს, მისი შემადგენლობა სტაბილურად კარგია. ამას კი ვერ ვიტყვით მაყურებელთა შემადგენლობაზე. როგორც ვთქვით, ხშირად გვხვდება მაყურებელი, რომელსაც გუნდის ქულების დათვლის მეტი არაფერი აინტერესებს. ერთი სიტყვით, ბევრი გვყავს ფეხბურთომანი, რომელსაც ფეხბურთის სილამაზე არ ესმის და გუნდიც მანამდე უყვარს, ვიდრე ეს გუნდი იმარჯვებს. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ცხადყო „დინამოს“ მონაწილეობამ ევროპის ჩემპიონთა ტურნირში. „ლივერპულთან“ გამარჯვებით ნაციამოვნები და „მამბურგთან“ გამარჯვების მოლოდინები რომ იმდენ წერილს აგზავნიდნენ რედაქციებში, საკითხავია მერე სად იყვნენ, რატომ აღარაფერი მოსწერეს გუნდს?

უნდა აღვნიშნო, რომ იმ წერილებშიც ცოტა იყო ფეხბურთის ნამდვილი მაყურებლის მიერ გამოგზავნილი. ბევრს მხოლოდ ის სურდა, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე: საკუთარი პრესტიჟის აწევა „დინამოს“ ძალთა დახარჯვის ხარჯზე.

არ შემიძლია წერილებთან დაკავშირებით არ გავიხსენო ერთი გულსატკივნი ფაქტი. სამავშო გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცემული წიგნების ბოლოს ყოველთვის დაბეჭდილია მიმართვა „ვთხოვთ გვაცნობოთ თქვენი აზრი ამ წიგნის შესახებო“. როგორც ადასტურებს მწერალი რეზო ინანიშვილი, შვიდი წლის მანძილზე, ვიდრე იგი ამ გამომცემლობის ერთ-ერთ რედაქციაში მუშაობდა, მოვიდა მხოლოდ ორი წერილი და ეს ორივეც შეეხებოდა წიგნის ტექნიკურ მხარეს და არა შინაარსს.

მეტად სავალალო თანაფარდობაა: გაზეთების რედაქციები პირთამდე სავსე წერილებით გინდა თუ არა „დინამომ“ გაიმარჯვოსო, სამავშო გამომცემლობაში კი ერთი წერილიც არ მოდის! იმ „საფეხბურთო“ წერილებში სულ საქართველოს ხსენება იყო, მათ ავტორებს ჭეშმარიტ პატრიოტებად მიიჩნიეთ თავი... მაშ სად არიან ისინი, როცა მათ სთხოვს და ემუდარება გამომცემლობა, გამოგვიგზავნეთ წერილი, გვითხარით თქვენი აზრი, ეს დაგვეხმარება იმაში, რომ თქვენს ბავშვებს უკეთესი წიგნები მივცეთ და ამით უკეთესი გახდეს ის საქართველო, რომელიც თქვენ ახე გიყვართო. მაგრამ „ნაკადულში“ ცოტა აგზავნის წერილს, ეტყობა სამავშო წიგნის საქმე საკუთარ პრესტიჟთან ძნელი დასაკავშირებელია.

დამოლოს: რა არის ფეხბურთი?

ფეხბურთი არის სპორტის ერთ-ერთი სახეობა. მისი არსი ღირსეულ მოწინააღმდეგეთა ლამაზ შეჯიბრში მდგომარეობს. ოღონდ ჩვენ უნდა შევხლოთ დავტკბეთ მისი სილამაზით. არ გავაყალბოთ მისი შინაარსი, არ ვაქციოთ იგი ქულებით ანგარიშის სამაგალითად, მით უმეტეს, ყალბი პრესტიჟის საქმედ.

თუ გვინდა რომ კიდევ უფრო უკეთესი იყოს ქართული ფეხბურთი, ჩვენ, მაყურებლები უნდა გავხდეთ უკეთესები. ეს პარადოქსი არაა,

გვიყვარდეს გონივრული პასი, ლამაზი ფინტი, ზუსტი დარტყმა და მეკარის კოხტა ნახტომი,

გვიყვარდეს „ჩვენები“: პაიჭაძე, მარდანია, ღოლობერიძე, ჭკუასელი, მესხი, მეტრეველი, იამანიძე, ჩოხელი, კოტრიკაძე, ყიფიანი, მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გაბელია,... და „სხვებიც“... პელე, კრუიფი, ბეკენბაუერი, კალტცი, კიგანი, კენედი...

გვიყვარდეს ფეხბურთი; კეთილშობილი ლამაზი თამაში და გვახსოვდეს: საგანი თუ მოვლენა მანამდეა მშვენიერი, ვიდრე მას თავისი სახელი ჰქვია და თავის დანიშნულებას ასრულებს.

ჩვენი სტუმრები

საქართველოს მწერალთა კავშირის მოწვევით საქართველოში სტუმრად იყო ინდოეთის მწერალთა დელეგაცია — ნირმალ ვერმას, ანანტა მურტის და დილიპ ჩიტრეს შემადგენლობით. სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქისა და მცხეთის ისტორიული ადგილები, იყვნენ მუზეუმებში, დავით კაკაბაძისა და ირაკლი ოჩიაურის სახელოსნოებში.

ინდოელი სტუმრები ეწვივნენ სოციალისტური შრომის გმირს, მხატვარ ლადო გუდიაშვილს. ნახეს ქართული ფილმები.

ინდოელ მწერლებს შეხვდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი გ. ჟორჟოლიანი.

●

საბჭოთა კავშირში იმყოფება შვედი მწერალი, კომუნისტი არვიდ რუნდბერგი. იგი ამზადებს წიგნს ლეგენდარულ კრეისერ „ავრორაზე“ და მის კაპიტანზე. საქართველოში ყოფნისას იგი ეწვია სოციალისტური შრომის გმირს ლადო გუდიაშვილს და ირაკლი ოჩიაურს, დაათვალიერა დავით კაკაბაძის სახელოსნო, იყო მცხეთაში და გორში, ნახა ქართული ფილმები. შვედი მწერალი შეხვდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს გ. ჟორჟოლიანს.

●

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ ბულგარელი მწერლები კრისტო სტანიშევი და გიორგი დანჩევი. სტუმრებმა დაათვალიერეს ქ. თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მუზეუმებში.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები საქართველოში

მხატვრული კულტურის დღესასწაული

ამ დღეებში საქართველოს მხატვრულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ჩატარდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები.

ამ დღეებთან დაკავშირებით თბილისში, მხატვართა სახლში გაიხსნა სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა. გამოფენის ექსპოზიცია გახდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების ცენტრალური მოვლენა. ჩვენი ქვეყნის თხუთმეტივე მომზე რესპუბლიკის წარმომადგენლთა ნამუშევრებმა დაანახვეს დამთვალიერებლებს საბჭოთა სახვითი ხელოვნების მრავალფეროვნება. გამოფენაზე 250-მდე ავტორის 400-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნამუშევარი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, რომლებშიც ნათლადაა ახახული ჩვენი მდელვარე თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანის ბრძოლა და შრომა.

მხატვართა სახლში გახსნილ ვერნისაჟზე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. პონომარიოვმა აღნიშნა ამ გამოფენის დიდი მნიშვნელობა, მხატვრული კულტურის ამ დღესასწაულის დიდი ინტერნაციონალური ყღერადობა. თქვა, რომ ამგვარ შეხვედრებში მკაფიოდ ვლინდება ეროვნული ტრადიციები და ურთიერთგამდიდრება ჩვენი საშობლოს ყველა მოძმე ხალხის კულტურებისა.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე, საქართველოს კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, რეს. პუბლიკის სახალხო მხატვარი ზ. ნიფარაძე.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.

●

ხაბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გარდა დედაქალაქისა სტუმრებს მასპინძლობდნენ ხოხუმსა და ცხაკაიაში.

აფხაზეთის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სტუმრებს, რომლებიც გაეცვნენ ხოხუმის ღირსშესანიშნავ ადგილებს და მის ახლომდებარე რაიონებს, მშრომელებს, ინტელიგენციას.

ხოხუმში, აფხაზეთის მხატვართა საგამოფენო დარბაზის სახეიმო გახსნაზე სტუმრებმა დაათვალიერეს აფხაზეთის ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის ოსტატთა ექსპოზიცია. სტუმრებს გულთბილად მიეხალმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. მარშანია.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილეებთან შეხვედრაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ სტუმრებს მოუთხრო აფხაზეთის მშრომელთა საქმიანობაზე, მათს მიღწევებზე.

სტუმართა სახელით უკრაინის სსრ სახალხო მხატვარმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. სკობლიკოვმა მადლობა გადაუხადა აფხაზეთის მშრომელებს, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს გულთბილი მასპინძლობისათვის.

საინტერესო და შთამბეჭდავი იყო საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები ცხაკაიაში.

ცხაკაიას რაიონის მშრომელები მასპინძლობდნენ სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილეთა ერთ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი ო. სოვასტიუკი, მხატვრები ბ. ტოლბერგი, ე. სიდორკინი, ა. არუთიუნიანი, ე. მისკო, შ. აკმუხამედოვი, ჯ. ლოლუა, გ. ნარმანია, ჯ. ფაჩუაშვილი და სხვები.

სტუმრები შეხვდნენ მოქანდაკე ვ. მელიქიშვილს და არქიტექტორ ვ. დავითაიას, რომლებიც ქალაქის პარკში ქმნიან „საბრძოლო დიდების მონუმენტს“. დაესწრნენ გიორგი ჭალადიდელის ძეგლის გახსნას, ნახეს გამოჩენილი საბჭოთა მსახიობის აკაკი ხორავას ძეგლი, დაათვალიერეს სურათების გალერეა და სამხატვრო სკოლა, იყვნენ ძველ ნოქალაქეებში.

●

26 მაისს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

საღამოს ესწრებოდნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ. სურვილი ადამიანში, სულ უფრო მეტად ეხვრეოდეს მშვენიერებას, — აღნიშნა ო. ჩერქეზიამ, — და მცდელობა, თავისი ყოფა სილამაზის კანონებით მოაწყოს, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, ყოველგვარი წინსვლის საწყისი პუნქტია, ადამიანების სულიერი გამდიდრების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით ამხანაგი ო. ჩერქეზია მიესალმა ფუნქციონერ საერთაშორისო ფესტივალს, ჩვენი დიდი საშობლოს ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლებს და უსურვა მათ შემოქმედებითი წარმატებანი.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ნ. პონომარიოვმა. მან საქართველოში ჩატარებულ საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეებს ჩვენი მრავალეროვნული მხატვრული კულტურის საერთო დღესასწაული უწოდა. აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების ჩატარება ახალი ფორმაა მხატვართა მრავალეროვანი კოლექტივის შემოქმედებითი, იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკურ-ამზრდელობითი მუშაობისა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ახალი ფორმა გახდება ხელოვნის პასუხისმგებლობის ამაღლების, ხელოვნებისა და ხალხის ცხოვრების კავშირის განმტკიცების საწინდარი.

საღამოს დასასრულს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ანსამბლმა სტუმრების საპატივცემულოდ გამართეს დიდი კონცერტი.

თბილისში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების ჩატარებას დაემთხვა არა ერთი გამოფენის გახსნა-დათვალიერება. ამ დღეებშივე ფართოდ აღინიშნა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის, ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებლის იაკობ ნიკოლაძის იუბილეი, რომელიც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

●

სურათზე: სსრკ სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი დ. მაჩალაკი და თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი გ. თოთიბაძე (ცენტრში) საქართველოში სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილეთა შორის.

ვახტანგოველთა ხელოვნება

„მეგობრობის თეატრის“ მოწვევით თბილისში სტუმრად იმყოფება მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის აკადემიური თეატრი.

თბილისელმა მაყურებელმა ნახა სახელოვანი თეატრის ოთხი დადგმა: ა. აბდულინის „მეცამეტე თავმჯდომარე“, ა. არბუზოვის „მოლოდინი“, ა. ფრედოსის „ქალბატონები და გუსარები“, ე. დე ფილიპოს „უდიდესი ჯადოქრობა“.

რეპერტუარის თემატურმა და ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ თბილისელ მაყურებელს საშუალება მისცა ნათლად დაენახა თეატრის ბოლო წლების შემოქმედებითი სახე, რეჟისორული და აქტიორული ოსტატობა, სცენოგრაფიული გადაწყვეტის მაღალი კულტურა.

„მეგობრობის თეატრმა“ კიდევ ერთი დიდი თეატრალური კოლექტ